ახალი განათლება

12 - 18 მაისი

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

18 (732) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

12 მაისი – ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე


მთავარი გზები
ანდრია პირველწოდებულის გზა
სვიმონ კანანელის საფლავი ძველად (ნიკოფსიაში)
სვიმონ კანანელის საფლავი ამჟამად (ახალ athonში)
მატათა მოციქულის საფლავი (აფსარში ანუ გონიოში)
ანდრია მოციქულის მიერ დაარსებული პირველი ეკლესია დიდაჭარაში
ანდრია მოციქულის მიერ დაარსებული პირველი საეპისკოპოსო აწყურში
ზიქნი
ბაქეონა
ახალი athonი
სებასტოპოლისი (ცხუმი)
პონტოს (შავი) ზღვა
ციხეგოჯი
ქუთაისი
ეკლეკბა
ურბნისი
ოძრხე
აწყური
დიდაჭარა
ფარავანის ტბა
ფოთი
ბოღდე
ზუანი
ტრაპიზონი
ბერეთა
ბარდავი
ბეჭანიტ ტბა
ქარნუ-ქალაქი (არზრუმში)
ალარჯეთი
„სოფელი მეგრელთა“
ქალაქი
ეგრისი
ეგრ ეთ ი
ქუთ ა ი ს ი
ქ ა ს ტ ე ბ ი
ქ ა ს ტ ე ბ ი
ქ ა ს ტ ე ბ

პროფესიული განვითარება

საგნობრივი ტრენინგები – ვექტორი ცოდნის სისტემატიზაციისკენ

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა საგნობრივ ტრენინგებზე რეგისტრაცია დაიწყო. რას ითვალისწინებს სატრენინგო პროგრამა და რაში შეუწყობს ხელს პედაგოგებს ტრენინგების გავლა, ამის შესახებ გვესაუბრება ცენტრის დირექტორის მოადგილე მანანა რატიანი:

– ქალბატონო მანანა, საგნობრივ ტრენინგებზე ცოტა მოგვიანებით ვისაუბროთ, მანამდე კი თვალი გადავავლოთ სქემის მიმდინარეობას და იმ სიახლეებს, რომელიც უნდა განხორციელდეს. პირველ რიგში, ყურადღებას ზაფხულის საგნობრივ გამოცდებზე შევაჩერებ. როგორც ცნობილია, გამოცდაზე ბევრი მასწავლებელი დარეგისტრირდა...

– შეიძლება ითქვას, რომ აპლიკანტთა უპრეცედენტო რაოდენობა დარეგისტრირდა – 22 ათასი მასწავლებელი და მასწავლებლობის მსურველი, აქედან 2800 მასწავლებლობის მსურველია. ეს ძალიან მნიშვნელოვანი რაოდენობაა, რადგან სახელმწიფოს დაფინანსებით მუშაობას იწყებს საუნივერსიტეტო პროგრამები. რაც შეეხება პრაქტიკოს მასწავლებლებს, საგნის გამოცდის ჩაბარება მათთვის სავალდებულო კომპონენტია და ეს ვალდებულება სამი წლის განმავლობაში უნდა შეასრულონ. დარეგისტრირდნენ, აგრეთვე, მასწავლებლები, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ ერთი საგანი და სურვილი აქვთ, საკუთარი კომპეტენცია სხვა საგნობრივ ჯგუფში დაადასტურონ. ამდენად, განსხვავებული ვითარება გვაქვს – ერთი მხრივ, არიან მასწავლებლობის მსურველები, მეორე მხრივ, პრაქტიკოსი მასწავლებლები, რომლებსაც სქემის ფარგლებში სავალდებულო კომპონენტი აქვთ შესასრულებელი. დაბოლოს, მასწავლებლები, რომლებიც თავიანთ მატერიალურ მდგომარეობას იუმჯობესებენ.

– საგნის გამოცდის ტესტში სიახლეა, ამოღებულია მეთოდური ნაწილი. რამ განაპირობა ასეთი სახის ცვლილება?

– მეთოდიკასთან დაკავშირებით მრავალმხრივი მოლაპარაკებები გვქონდა როგორც შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან, ისე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. მეთოდური ნაწილის ამოღებას აქვს შემდეგი მიზეზი. სქემის მიხედვით, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცეტრმა, უნივერსიტეტებმა და სახელმწიფომ ვალდებულება აიღეს, რომ დაეხმარებიან მასწავლებლებს მეთოდოლოგიურ ნაწილში. პირველ რიგში, მსურველებისთვის შეიქმნა მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამა, პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის კი სავალდებულო გახდა 5-კრედიტიანი ტრენინგ კურსის გავლა, რომელიც ზოგად და საგნისთვის სპეციფიკურ მეთოდოლოგიაზეა ორიენტირებული. მას შემდეგ რაც მასწავლებელი, ან მასწავლებლობის მსურველი დაადასტურებს საგნობრივ კომპეტენციას, მას სახელმწიფო სხვადასხვა გზით დაეხმარება მეთოდოლოგიის შესწავლაში. ამით პედაგოგებს არა მხოლოდ საგანი ეცოდინებათ, მათ ასევე ეცოდინებათ თუ როგორ გადასცენ ეს ცოდნა მოსწავლეებს. სწორედ ამის გამო განხორციელდა ეს ცვლილება.

გაჩნდა კითხვები იმის შესახებაც, რომ მეთოდოლოგიას ერთი კატეგორია სწავლობს 60 კრედიტის ფარგლებში, ხოლო მეორე კატეგორიისთვის 5-კრედიტიანი კურსიც საკმარისია. კიდევ ერთხელ განვმარტავ, რომ 60-კრედიტიანი პროგრამა ეხება მხოლოდ მათ, ვისაც მასწავლებლად მუშაობის არანაირი გამოცდილება არ აქვს და, შესაბამისად, ბევრად მეტი უნდა ისწავლოს, ვიდრე გამოცდილმა პედაგოგმა. 5-კრედიტიანი ტრენინგ-მოდული განკუთვნილია მათთვის, ვისაც მასწავლებლად მუშაობის გამოცდილება აქვს. შესაძლებელია, მათ დიდ ნაწილს სხვადასხვა ტრენინგებიც ჰქონეთ გავლილი. თუმცა, 5-კრედიტიან კურსში გათვალისწინებულია ახლებური მიდგომები და სიახლეები. ამდენად, მიუხედავად იმისა, მასწავლებელი ნამყოფია თუ არა ტრენინგზე, აქვს თუ არა გამოცდილება, ეს კურსი ძალიან პრაქტიკული და სიახლეებზე ორიენტირებული იქნება.

– სქემის ამოქმედების შემდეგ, მასწავლებელთა გარკვეულმა ნაწილმა, იანვარში, ერთხელ უკვე სცადა საგნობრივი გამოცდის ჩაბარება. მათ ჩააბარეს ტესტი, რომელშიც ჯერ არ იყო ამოღებული მეთოდიკა. ხომ არ გამოიწვევს ეს ფაქტი გარკვეულ უკმაყოფილებას, განსაკუთრებით მათში, ვინც ვერ ჩააბარა საგანი? ისინი არათანაბარ პირობებში აღმოჩდნენ იმ პედაგოგებთან შედარებით, ვისაც მეთოდიკის გარეშე მოუწევთ საგნის კომპეტენციის დადასტურება?

– შესაძლოა, ამან გარკვეული უკმაყოფილება გამოიწვიოს, თუმცა, გარწმუნებთ, რომ ამის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ დროის ფაქტორია. იმ შეთანხმებებმა და მოლაპარაკებებმა, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ (ვიდრე ამ გადაწყვეტილებამდე მივიდოდით), სწორედ ეს დრო წაიღო. თუმცა, კარგად გვესმოდა, რომ ამის საჭიროება დადგებოდა – არ შეიძლება ადამიანს, რომელსაც ჩაბარებული აქვს მეთოდიკა საგნის გამოცდის ფარგლებში, ისევ მოსთხოვო მეთოდოლოგიის შესწავლა ტრენინგზე. თუმცა, გამოცდაზე მეთოდოლოგია ძალიან ზედაპირულად მოწმდებოდა, მხოლოდ რამდენიმე შეკითხვით, ამიტომ უფრო მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ, რომ მასწავლებლები, მეთოდიკაში მოვამზადოთ და მხოლოდ ამის შემდეგ ტრენინგის ფარგლებშივე შევაფასოთ.

– ახალკურსდამთავრებულს, რომელსაც მასწავლებლობა სურს, 60-კრედიტიან პროგრამაზე ჩასარიცხად, თავიდან უწევს საგნის ჩაბარება. ხომ არ ნიშნავს ეს უნდობლობის გამოცხადებას უმაღლესი საწავლებლისთვის. გამოდის, რომ არ ვენდობით მის მიერ გამოშვებულ კადრს და თავიდან ვცდით საგანში. ეს, თავისთავად, ხომ არ მიანიშნებს უმაღლესი სასწავლებლის ხარვეზზე და თუ არა, მაშინ, პროფესიაში შესვლა ხომ არ არის ცოტა გართულებული?

– კითხვა აბსოლუტურად ლოგიკურია, თუმცა, ჩვენ ხაზგასმით ვამბობთ, როცა გვეყოლება ახალი 300-კრედიტიანი აკრედიტებული პროგრამით კურსდამთავრებული კადრები, თავისთავად, მოიხსნება საგნის ჩაბარების საჭიროება. მაგრამ ახლა, რადგან ძველი პროგრამები ახალი მოთხოვნების სტანდარტზე სრულად არ არის მორგებული, 60-კრედიტიანი პროგრამა საუკეთესო საშუალებაა იმისთვის, რომ სკოლები არაკვალიფიციური კადრების შემოდინებისგან დავიცვათ. 60-კრედიტიანი პროგრამის გავლა თავიდან აგვაცილებს საგნობრივი კომპეტენციის არმქონე მასწავლებლებს, რომლებსაც არ აქვთ მეთოდოლოგიური ცოდნა, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად წარმართონ საგაკვეთილო პროცესი. აქედან გამომდინარე, ეს გარდამავალი დროისთვის ადეკვატური გზაა. ვინაიდან მასწავლებლობა რეგულირებადი პროფესიაა, გამოცდა იარსებებს მანამ, ვიდრე 300-კრედიტიანი პროგრამის კურსდამთავრებულები არ იქნებიან მასწავლებლობის კორპუსის შემავსებელი ძირითადი კონტინგენტი.

– ვიდრე საგნობრივი გამოცდების ტრენინგებზე გადავალთ, ორი სიტყვით გვითხარით, როგორ წარიმართა 5-კრედიტიანი ტრენინგ კურსის პირველი ეტაპი?

– გეტყვით, რომ იმდენად საინტერესოდ წარიმართა პროცესი, პირველ დღეს შესული მონაწილე ბოლომდე არ ტოვებდა ტრენინგს, დაინტერესება მასწავლებლების მხრიდან მართლაც ძალიან მაღალი იყო. ხშირ შემთხვევაში, ადრე, გვეუბნებოდნენ, რაღა უნდა ისწავლოს მასწავლებელმა ტრენინგზე, თუ ის უკვე 20 წელია ასწავლის, რა უნდა გაიგოს ახალი მეთოდოლოგიის შესახებ. აღმოჩნდა, რომ მათ ტრენინგებზე ძალიან ბევრი საინტერესო სიახლე ელოდათ. წელს, 5-კრედიტიან ტრენინგკურსზე, 1500 რეგისტრირებული მასწავლებელი გვყავს და შესაბამისად, ცენტრი იღებს ვალდებულებას, ყველა გადაამზადოს.

– რას მისცემს მასწავლებლებს საგნობრივი ტრენინგი, გაუადვილებთ თუ არა ტრენინგკურსი საგნის გამოცდის ჩაბარებას?

– ძირითადად, ტრენინგები, რომელსაც ჩვენი ცენტრი ახორციელებს, მიმართულია მასწავლებლის პროფესიული განვითარებისკენ და არა კონკრეტულ საგანში გადამზადებაზე. ასეთი ტრენინგებით გადამზადება მხოლოდ ზედაპირულადაა შესაძლებელი, ტრენინგის ფარგლებში საგნისთვის მომზადება კი – საერთოდ წარმოუდგენელია, თუკი ეს არ არის გრძელვადიანი და ხანგრძლივი პროგრამა. საგნის კომპეტენცია პიროვნებამ საუნივერსიტეტო პროგრამის ფარგლებში უნდა მიიღოს. აქედან გამომდინარე, საგნობრივი ტრენინგების მიზანი საკმაოდ კონკრეტულია. ის მხოლოდ მიმართული იქნება ცოდნის სისტემატიზაციისკენ. როდესაც პერიოდულად საგამოცდო პროგრამის შესაბამისად ხდება ხოლმე ტესტის განახლება, ჩვენი ექსპერტები შეფასებისა და გამოცდების ცენტრის ექსპერტებთან ერთად მუშაობენ იმ საჭიროებების გამოსავლენად, რომელიც მასწავლებლის წინაშე დგას – რა პრობლემები აქვთ საგნობრივ გამოცდებზე, რომელი საკითხების დაძლევა უჭირთ ყველაზე მეტად. აქედან გამომდინარე იწერება ტრენინგმოდული. შემიძლია გითხრათ, რომ მოდულები სწორედ მასწავლებლების საჭიროებებიდან გამომდინარეობს და, ამავდროულად, ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სიახლეებს. დაახლოებით, 25-30-საათიან ტრენინგმოდულში საკმაოდ კარგადაა გაშლილი ის საჭიროებები, რომელიც მასწავლებელს ეხმარება სისტემაში მოიყვანოს საგნობრივი ცოდნა და უფრო თამამად გავიდეს გამოცდაზე. რა თქმა უნდა, 25-საათიანი ტრენინგი საკმარისი არ არის იმისთვის, რომ მასწავლებელმა, თუკი საგანი არ იცის, კომპეტენციის ზღვარი გადალახოს. ჩვენი მიზანი სულაც არ არის, რაღაც ხრიკების სწავლება, რომ იოლად „გაძვრეს“ გამოცდაზე, ჩვენი მიზანია, გავაღრმავოთ მასწავლებლის სათანადო ცოდნა საგანში, რომელსაც ასწავლის. ტრენინგი მიმართულების მიმცემი იქნება მასწავლებლებისათვის, ჩვენი ტრენერები მათ იმ სიახლეებს გააცნობენ, რომელიც გამოცდაზე მოეთხოვებათ.

– რომელ საგნებში ჩატარდება ტრენინგები და სად, მასწავლებელთა სახლის გარდა, ჩაერთვებიან თუ არა სხვა პროვაიდერები პროცესში?

– ყველა საგანშია შექმნილი ტრენინგმოდული. ესთეტიკური ბლოკის საგნებში გამოცდა წელს პირველად ტარდება, შესაბამისად, პროგრამები და ტრენინგმოდულებიც უფრო დაგვიანებით მომზადდა.

ტრენინგები რეგიონულად ჩატარდება, მასწავლებლებს შესაძლებლობა ექნებათ, სამხარეო დონეზე გაიარონ რეგისტრაცია. შესაბამისად, სწორედ იმ რეგიონებში ჩაუტარდებათ ტრენინგი, სადაც რეგისტრაციას გაივლიან. ჯგუფების დაკომპლექტების შემთხვევაში, ჩვენი ცენტრის ტრენერები გაემგზავრებიან და ადგილებზე მოემსახურებიან მასწავლებლებს. საკმაოდ გამოცდილი ტრენერები გვყავს, რომლებიც ჩვენთან წლების განმავლობაში მუშაობენ. მათ უკვე გაიარეს გადამზადება ახალ ტრენინგმოდულში და მზად არიან ჩაუტარონ პედაგოგებს ტრენინგები.

– თქვენი აზრით, იქონიებს თუ არა დადებით გავლენას მასწავლებელთა შედეგებზე მეთოდიკის ამოღება, მეტი მასწავლებელი შეძლებს გამოცდის ჩაბარებას?

– მეთოდიკის ამოღება არ ნიშნავს ტესტური დავალებების მოცულობის შემცირებას ან გამარტივებას. აქ საუბარია იმაზე, რომ ტესტის, დაახლოებით, 30 პროცენტი, რომელსაც მეთოდოლოგია შეადგენდა, ჩანაცვლდა საგნობრივი ტესტური დავალებებით. ვერ გეტყვით, მეთოდოლოგია უფრო რთულია თუ საგანი, ეს ყოველი კონკრეტული ინდივიდისთვის განსხვავებულია. ამიტომ იმის თქმაც გამიჭირდება, იქონიებს თუ არა გავლენას შედეგებზე. ერთი რამ კი შემიძლია გითხრათ – ტესტიდან მეთოდოლოგიის ამოღება არ ნიშნავს, რომ ზაფხულის გამოცდაზე მისულ მასწავლებელს უფრო გამარტივებული ან უფრო გართულებული ტესტი დახვდება. ტესტები წინასწარ გამოიცდება და, შესაბამისად, სირთულე არ იქნება არც ნაკლები და არც მეტი.

– ამგვარი სახით საგნობრივი ტრენინგმოდულები ადრეც ტარდებოდა თუ წელს პირველად დაიწყო?

– ადრე თუ უფრო პრფესიულ განვითარებაზე ვიყავით ორიენტირებული, ახლა პრაქტიკოსი მასწავლებლების საჭიროებებზე ხდება ფოკუსირება. ესეც, რა თქმა უნდა, საბოლოო ჯამში, პროფესიული განვითარების ნაწილია. მეტ ყურადღებას მივაქცევთ და გავითვალისწინებთ წინა გამოცდებზე გამოვლენილ საჭიროებებს, ასევე, ეროვნულ სასწავლო გეგმებში გამოკვეთილ სიახლეებს.

– დაბოლოს, მოქმედი მასწავლებლებისთვის ტრენინგები უფასოა, ექნებათ თუ არა ტრენინგებზე დარეგიტრირების უფლება მასწავლებლობის მსურველებს, ანუ გამოცდაზე დარეგისტრირებულ 2800 აპლიკანტს?

– მასწავლებლობის მსურველები, მას შემდეგ რაც დაადასტურებენ საგნობრივ კომპეტენციას და სისტემაში შემოვლენ, შეძლებენ ისარგებლონ ყველა იმ მხარდაჭერით, რასაც ცენტრი მასწავლებლებს სთავაზობს.

ესაუბრა
ლალი ჯელაძე

ინფორმაცია

განახლებული თანამშრომლობის მემორანდუმი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაცია „ბერილუსს“ შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც ითვალისწინებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და „ბერილუსის“ თანამშრომლობით, 2014-2015 წლებში, წამოწყებული საქმიანობის შენარჩუნებას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოზარდების თანატოლებთან სოციალიზაციასა და მათი სწავლით დაინტერესების ხელშეწყობას.

ლია გიგაური, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე: *„ამ მემორანდუმის მიზანი გახლავთ სოციალური ინკლუზიის პროგრამის ბენეფიციარი ბავშვების ხელშეწყობა და სოციალიზაციაში დახმარება. ესენი არიან სხვადასხვა სოციალური თუ აკადემიური პრობლემების მქონე ბავშვები, რასაც თავისი წინაპირობები ჰქონდა და ვითარების გამოსწორებასთან დაკავშირებით გვაქვს გარკვეული მოცემულობა და პროგრამები. არიან ბოშა ბავშვები, რომელთა ინტეგრაცია ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ფორმალურ განათლებაში, ასევე ზოგადად თემში და მოსწავლეთა სოციუმში. გვყავს სხვადასხვა სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვები, ასევე რეპატრირებული მესხები, რომელთაც გარკვეული პრობლემები აქვთ ინტეგრაციასთან დაკავშირებით და კიდევ ერთი სამიზნე სეგმენტი, რომელიც განსაზღვრულია ჩვენთვის, როგორც განათლების მეორე შანსის მქონე მოსწავლეები, რომელთაც დღემდე განათლება არ მიუღიათ და გარკვეული პრობლემები აქვთ ზოგადად თემში ინტეგრაციასთან დაკავშირებით. ყველა ბენეფიციარისთვის მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების შეთავაზება, რომელიც მათ მოტივაციას გაუჩენთ ფორმალურ განათლებაში ინტეგრაციასთან დაკავშირებით, აგრძნობინებს, რომ ისინი თანაბარი პირობებისა და უფლებების მქონე არიან და დაანახებს საკუთარ მომავალს ამ პროგრამის ფარგლებში, რადგან პროგრამა ამეგობრებს სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე ბავშვებს და საშუალებას აძლევს მათ, ერთობლივ ღონისძიებაში ჩართვით, საერთო მიზნებზე იმუშაონ.“*

ირაკლი ნადირაძე, „ბერილუსის“ გამგეობის თავმჯდომარე: *„მინდა მადლობა გადავუხადო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ასეთი შესაძლებლობისათვის. დღეს გაფორმებული მემორანდუმი საშუალებას გვაძლევს, რომ კავშირმა „ბერილუსმა“ და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, უფრო კონკრეტულად, სოციალური უზრუნველყოფის ხელშეწყობის პროგრამამ, ერთობლივად ვიზრუნოთ საქართველოს რეგიონებში მცხოვრები სხვადასხვა სოციალური ფენისა და შესაძლებლობის მქონე მოზარდების თანამშრომლობაზე, მათ ჩართულობაზე სათემო ცხოვრებაში, მათ სოციალიზაციაზე, აკადემიური უნარების დახვეწასა და სოციალური უნარების გაუმჯობესებაზე. პროექტის ფარგლებში, იგეგმება რიგი ღონისძიებები, მათ შორისაა თეატრალური ფესტივალი, სადაც სხვადასხვა სოციალური ფენისა და შესაძლებლობის მქონე მოზარდები ერთობლივად წარმოადგენენ სპექტაკლებს. იგეგმება თითოეულ რეგიონში კითხვის კლუბის ამუშავება, ასევე, ბავშვებისთვის საზაფხულო სკოლები, მათ შორის ერთი რეგიონული საზაფხულო სკოლა იქნება, სემინარები და სხვა მრავალი ღონისძიება, რომელიც განხორციელდება ჩვენი თანამშრომლობით როგორც ადგილობრივ თემებში, ისე თბილისში, სხვადასხვა თეატრებში.“*

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ორგანიზაცია „ბერილუსის“ თანამშრომლობით, 2014 წლიდან დღემდე, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მუშაობს კითხვისა და თეატრის კლუბები, სადაც ერთ თემში მცხოვრები სხვადასხვა სოციალური ფენისა და შესაძლებლობის მქონე მოზარდები რეგულარულად ხვდებიან ერთმანეთს, კითხულობენ ნაწარმოებებს და ამზადებენ სპექტაკლებს. მომზადებული სპექტაკლების ჩვენება იმართება როგორც მათ ადგილობრივ თემში, ისე თეატრალურ ფესტივალებზე, რაც ხელს უწყობს როგორც თავად მოზარდების მიერ საკუთარი შესაძლებლობების გააზრებასა და თვითშეფასების ზრდას, ისე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოზარდებთან მიმართებაში არსებული სტერეოტიპული დამოკიდებულების შეცვლას.

იგეგმება და ხორციელდება აქტივობები სკოლის მიღმა დარჩენილი და ლინგვისტური პრობლემების მქონე ბოშა მოზარდების სახელმწიფო ენის ცოდნის ამაღლებისა და სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის მიზნით. 2014 წლიდან დღემდე, 175 ბოშა მოზარდი ჩაირიცხა სკოლაში.

საქართველოს რეგიონებში მცხოვრები რეპატრირებული და საქართველოს მოქალაქეობის არმქონე მესხი მოზარდების თანატოლებთან სოციალიზაციისა და მათში სახელმწიფო ენის ცოდნის ამაღლების მიზნით, 2014 წლიდან დღემდე, განხორციელდა არაერთი აქტივობა, მათ შორის სემინარები და საზაფხულო სკოლები, ადგილობრივ თემში ამუშავდა კითხვისა და თეატრის კლუბები. დღეისათვის, საქმიანობაში ჩართულია 106 მესხი მოზარდი.

2014 წლიდან დღემდე ხორციელდება აქტივობები ქალაქ სამტრედიის №15 საჯარო სკოლის ქცევითი და ემოციური აშლილობის მქონე მოზარდების თანატოლებთან სოციალიზაციის, მათი აკადემიური და კომუნიკაციური უნარების დახვეწისა და საზოგადოებაში რესოციალიზაციის მიმართულებით.

მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები მოზარდების, დევნილების, ბოშა და მესხი მოზარდებისა და მათი თანატოლებისათვის ეწყობა საზაფხულო სკოლები, სადაც დასვენებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აკადემიური უნარების, გუნდური მუშაობის, კომუნიკაციის უნარების დახვეწასა და ლინგვისტური პრობლემების მქონე მოზარდებში სახელმწიფო ენის ცოდნის ამაღლებას.

განახლებული თანამშრომლობის მემორანდუმი, სხვა სამიზნე ჯგუფებთან ერთად, საქმიანობაში ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუისსა და სოფელ ჯოყოლოში მცხოვრები მუსლიმური აღმსარებლობის მოზარდების ჩართვასა და მათი სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესებასაც ითვალისწინებს.

ლოგისტიკის ევროპული სტანდარტები საქართველოში

ქობულეთის საზოგადოებრივ კოლეჯს „ახალი ტალღა“ და ესტონეთის პროფესიულ სასწავლებელს „ვალგა“ შორის, ლოგისტიკის სფეროში, თანამშრომლობის ახალი პროექტი ამოქმედდა, რაც მძიმე და მასშტაბური ტვირთების ადგილობრივი და საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვებისთვის კვალიფიციური კადრების მომზადებას გულისხმობს. აღნიშნულ თემაზე გაიმართა კონფერენცია, სახელწოდებით „პროფესიული განთლების ინტერნაციონალიზაცია“, სადაც საუბარი შეეხო პროფესიული განათლების განვითარების ახალ პერსპექტივებს სატრანსპორტო ლოგისტიკის მიმართულებით.

ქართული ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ლოგისტიკის როლი. შესაბამისად, ეფექტური სატრანსპორტო და ლოგისტიკური სისტემის შექმნა ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთ ძირითად და აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს. საქართველოს, გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, რეალური შანსი აქვს გაატაროს და გადაამუშაოს დამატებითი ტვირთების ნაკადი, რაც შემოსავლების ზრდას განაპირობებს, გააუმჯობესებს პირობებს წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებისთვის. ლოგისტიკური ინფრაქტრუქტურის განვითარება უმნიშვნელოვანესია საქართველოს ყველაზე პერსპექტიული დარგების აღორძინებისთვის, როგორიცაა: სოფლის მეურნეობა, წარმოება, ვაჭრობა და ტურიზმი.

დღესდღეობით, ადგილობრივ ბაზარზე თითქმის არ არსებობენ კვალიფიციური ლოგისტიკური ოპერატორები, რომლებსაც, მზარდი კონკურენციის პირობებში, კომპლექსური ლოგისტიკური სერვისის წარმოება შეუძლიათ. მიმდინარე პროექტი კი, გულისხმობს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური კადრების მომზადებას ლოგისტიკის სფეროში. აგრეთვე, სატრანსპორტო სფეროსთვის ისეთი სპეციალისტის მომზადებას, რომელმაც კონკურენტულ ბიზნესგარემოში სატრანსპორტო გადაზიდვებით დასაქმებული ფირმების ეფექტური ფუნქციონირება და მდგრადი განვითარება უნდა უზრუნველყოს.

ქართულ-ესტონური პროექტის ფარგლებში, პროფესიულ სტუდენტებს აგზავნიან ესტონეთში სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორის სპეციალობის დასაუფლებლად. ისინი ესტონურ და ქართულ კომპანიებში გადიან პრაქტიკას და, პარალელურად, კომპანიების ლოგისტიკურ ინფრასტრუქტურას, მათ სისტემურ გადაწყვეტილებებს, უახლეს ტექნოლოგიებსა და ეფექტურ სამუშაო პროცესებს ეცნობიან.

პროექტის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ ორიენტირებულია პრაქტიკაზე, რაც ადგილობრივი და საერთაშორისო ლოგისტიკური ბაზრების მოთხოვნებს პასუხობს. პროგრამა კომპანიებს ფართო შესაძლებლობას აძლევს, სწავლებისა და პრაქტიკის განმავლობაში, ასევე სწავლის დასრულების შემდგომ, მიზანმიმართულად მოიზიდონ სტუდენტები, აღმოაჩინონ ახალგაზრდა სპეციალისტები, გაუწინონ სპონსორობა და დასაქმების უნიკალური პერსპექტივები შესთავაზონ.

დავით მჭედლიშვილი, ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა“ დირექტორი: *„აღნიშნული პროექტი მნიშვნელოვანია რეგიონისთვის იმდენად, რამდენადაც პროფესიულ განათლებაზე მოთხოვნა არის მზარდი, რადგან შრომის ბაზარი უფრო და უფრო იხსნება, იზრდება და შიძლება ითქვას, რომ უფრო ტევადი ხდება. ამავე დროს, მნიშვნელოვანია თანამშრომლობის მექანიზმების შემუშავება კერძო სექტორსა და პროფესიული განათლების შესაბამის სასწავლებლებს შორის. კონკრეტულ სექტორებს რაც შეეხება, ეს გახლავთ: ტურიზმი, შესაბამისად, მომსახურების ხარისხის ამაღლებისა და ლოგისტიკის მიმართულებები, ასევე მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მომსახურების, არამედ წარმოების სექტორიც. ამ შემთხვევაში, ვგულისხმობ სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მიმართულებას. გამომდინარე იქიდან, რომ რეგიონის ეკონომიკა მზარდია და დიდია დაინტერესება ინვესტორების მხრიდან, მოთხოვნა სწორედ ასეთ მაღალკვალიფიციურ კადრებზეა, რომელთა მიწოდებაც უნდა შეძლოს შესაბამისმა პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ.“*

გიორგი თავამაიშვილი, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი: *„ძალიან საინტერესო თემაა და არა მარტო საინტერესო, აქტუალურიც. მით უმეტეს, ძალიან მოხარული ვართ, რომ ეს ღონისძიება ჩვენს რეგიონში, ჩვენს ქალაქში ტარდება. მიმაჩნია, რომ ამას გარკვეული საფუძველი აქვს – აჭარას აქვს პრეტენზია, იყოს საქართველოში გამორჩეული ლოგისტიკური ცენტრი. დღესდღეობით ჩვენ ვაწყდებით რეალურად არსებულ პრობლემებს – ერთი მხრივ, ბიზნესის მზაობა ამ საკითხების მოსაგვარებლად და თუკი მათგან მიღებულ ინფორმაციას დავეყრდნობით, კვალიფიციური კადრების მიწოდების აუცილებლობა. ალბათ, დადგა დრო, ვისარგებლოთ ევროპული გამოცდილებით, მჭიდრო ურთიერთობით და შევქმნათ ისეთი პროგრამები, რომლებიც მხოლოდ ბიზნესის ინტერესებთან იქნება მისადაგებული. ჩვენთვის არსებითია როგორც პროფესიული კადრების მომზადება, ამავე დროს, ამ ახალგაზრდების დასაქმება. ლოგისტიკის თემა იმდენად ტევადია და ჩვენი ცხოვრების იმდენად ბევრ ასპექტს მოიცავს, რომ საჭიროა უფრო დაკონკრეტება და ჩამოყალიბება. იმ პედაგოგებსაც უნდა გადავხედოთ, ვინც ამ საქმით იქნება დაკავებული და ახალგაზრდებისთვის ლოგისტიკის ოპერატორის სპეციალობის ისე მიწოდება, რომ დარწმუნდნენ ამ სწავლების პერსპექტივაში.“*

ბაღდათში პროფესიული სასწავლებელი ამოქმედდა

ქუთაისის პროფესიული კოლეჯის „იბერია“ ბაღდათის ფილიალის სრული რეაბილიტაცია დასრულდა და იმერეთის რეგიონს ერთ-ერთი ძლიერი პროფესიული სასწავლებლის ახალი და თანამედროვედ აღჭურვილი კორპუსი შეემატა. განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე კოლეჯის წარმომადგენლებს შეხვდა და რეაბილიტირებული კოლეჯი დაათვალიერა.

ბაღდათში პროფესიული სასწავლებლის ფუნქციონირება წლების წინ შეწყდა, რითაც ამ მხარის მოსახლეობისთვის მნიშვნელოვნად შეიზღუდა პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა. მთავრობის გადაწყვეტილებით, ბაღდათში აღდგა პროფესიული კოლეჯი, რაც შეეხება ინფრასტრუქტურას – სრულიად განახლდა. სასწავლო სახელოსნოების მოწყობისა და აღჭურვის პროცესი დღესაც გრძელდება და ახალი სასწავლო წლისთვის უკვე ყველა ობიექტი გაიმართება.

ქუთაისის პროფესიული კოლეჯის „იბერია“ ბაღდათის ფილიალში მსურველები ავტოშემკეთებლის, კალატოზის, დურგლის, მემცენარის, მეფუტკრის, ფერმერის, მკერავის და რეგიონისთვის მნიშვნელოვან სხვა პროფესიებს შეისწავლიან. თანამედროვე სტანდარტების სასწავლო კორპუსის ამოქმედება მნიშვნელოვანია გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის ზრდის თვალსაზრისით – ბაღდათის ახლომდებარე რაიონებისა და სოფლების მოსახლეობას უკვე აქვს პროფესიული განათლების მიღების საშუალება, ხოლო მოსახლეობის ჩართულობა პროფესიულ განათლებაში ხელს უწყობს რეგიონის ეკონომიკურ გაძლიერებას.

თამარ სანიკიძე: *„მიმდინარეობს პროფესიული სასწავლებლების აღდგენა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი რეფორმისთვის. რეგიონებშიც თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ის მნიშვნელოვანი პროგრამები, რომლებიც საჭიროა შემდგომი დასაქმებისა და, რა თქმა უნდა, რეგიონული განვითარებისთვის. ამჟამად ბაღდადში ვიმყოფებით, აქ თითქმის დასრულებულია სარეაბილიტაციო სამუშაოები. ეს საგანმანათლებლო დაწესებულება, წლების განმავლობაში, არ ფუნქციონირებდა. მისი განახლება და ამოქმედება ნიშნავს ძალიან ბევრი მიმართულებით სპეციალისტების მომზადებას და თვითდასაქმების ხელშეწყობას. დაგეგმილია, აქვე, სახელოსნოების მოწყობა, ტერიტორია უკვე მოწესრიგებულია და შემოდგომის სესიაზე შესაძლებელი იქნება 200-ზე მეტი სტუდენტის მიიღება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ამ რეგიონისთვის.“*

თინათინ ლოსაბერიძე, საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიას“ დირექტორი: *„ეს ფილიალი 2008 წლიდან შემოუერთდა საზოგადოებრივ კოლეჯს. აღნიშნული ინფრასტრუქტურა მთლიანად დანგრეული და სასწავლო პროცესისთვის შეუფერებელი იყო. 2012 წელს დაიგეგმა რეაბილიტაცია. სამუშაოები დაიწყო 2014 წელს და ამჟამად სასწავლო კორპუსი სრულადაა რეაბილიტირებული, სათანადო ინფრასტრუქტურითა და ადაპტირებული გარემოთი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია მოვიდეს ჩვენთან და მისთვის სასურველი პროფესია შეისწავლოს. ეს რეგიონისთვის მნიშვნელოვანია, რადგან იმერეთში სახელმწიფო კოლეჯი მხოლოდ საზოგადოებრივი კოლეჯის ბაღდათის ფილიალია, რომელიც სოფლის მეურნეობის, და არა მარტო სოფლის მეურნეობის, პროფესიების სწავლებას ახორციელებს. რეგიონის მოსახლეობაში ინტერესი ძალიან დიდია, სწავლის მსურველები არა მარტო ბაღდათის რაიონიდან, არამედ იმერეთის სხვადასხვა რაიონიდან ჩამოდიან, სხვათა შორის, ქუთაისიდანაც.“*

საუბრები ლიტერატურაზე

„მგზავრის წერილების“ სწავლების პრობლემები მარადიული ღირებულებების მსხვრევის ეპოქაში



საქართველოს სამხედრო გზა, ყაზბეგი, XIX საუკუნე

„მგზავრის წერილები“ ქართული მწერლობის უმნიშვნელოვანესი, ეპოქალური ღირებულების დოკუმენტია, ამიტომ მის სრულყოფილ შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს XIX საუკუნის II ნახევრის არსებითი მოვლენების გასაგებად. იგი, თავისი ღრმა შინაარსით, გულმხურვალე პატრიოტიზმითა და მხატვრული სრულყოფით, დღესაც ემსახურება მოსწავლეთა შემეცნებითსა და ესთეტიკურ აღზრდას, ჩვენი ახალგაზრდობის ჩამოყალიბებას ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეებად.

მოთხრობა დაიწერა იმ დროს, როდესაც საქართველო მაღალი ეროვნული ინტერესებისაგან დაცლილი იყო. ეს ის პერიოდია, როდესაც ევროპა აღმავლობის გზაზე იდგა და მსოფლიო ასპარეზზე გამოჩენით მრავალი ქვეყანა მოხიბლა, მათ შორის – საქართველოც. დასავლეთ ევროპული ტონის მიმცემი გახდა კულტურაში და ჩვენმა ქვეყანამ, რომელიც პროგრესისაკენ მიილტვოდა, ღრმად შეტოპა მისთვის სრულიად უცხო ცხოვრებაში, რომელსაც ევროპული ცხოვრების წესი ერქვა და დაივიწყა ეროვნული, ღირებული, რითაც სული ედგა ჩვენს სამშობლოს და რითაც ცხოვრობდნენ საუკუნეთა მანძილზე ჩვენი წინაპრები. დიახ, დაივიწყა მშობლიური და მიიღო, შეიტკბო, მაგრამ ვერ გაითავისა უცხო, მისთვის ჯერ კიდევ განუცდელი და ნაკლებად ღირებული. მართლაც, XIX საუკუნიდან მოყოლებული და XXI საუკუნით დაგვირგვინებული, არის ეროვნული ღირებულებების გაუფასურებისა და მსხვრევის ეპოქა.

ამბობდნენ, „ძვ. ჩინეთში თუკი ადამიანის დაწყევლა უნდოდათ, მას დიდი ცვლილებების დროში ცხოვრებას უსურვებდნენო. მართლაც, რთულია თავის გადარჩენა მაშინ, როცა გარდაქმნათა გრიგალი ერთიანად ანგრევს ღირებულებათა ჩამოყალიბებულ სისტემას და უპირობოდ ამკვიდრებს ახალს, ხშირად ძველის საპირისპიროს. იმსხვრევა უამრავი პიროვნების შინაგანი სამყარო, ირღვევა კეთილისა და ბოროტის შეფასების კრიტერიუმები, ტყუილი მართლობს, მტერი მოყვრობს და არც ისაა მოულოდნელი, თუ მოყვარე მტრად მოგეკიდა“.

მართლაც, ერთობ ძნელია გარდაქმნათა ეპოქაში ცხოვრება, მაგრამ ასმაგად უფრო მძიმეა ამ ეპოქის შემოქმედთა ხვედრი.

სწორედ გარდაქმნათა ეპოქაში მოუხდა ილიას მოღვაწეობა. ოცდაოთხი წლის იყო, საქართველოში რომ დაბრუნდა რუსეთიდან. პეტერბურგის მრავალფეროვან ცხოვრებას მისი საფიქრალი არ შეუცვლია, სამაგიეროდ გონებრივად დაავაჟკაცა. ევროპულ კულტურას ნაზიარები, გარეგნულადაც უცხო, ევროპულ კოსტიუმში გამოწყობილი შემოვიდა ილია სამოციანი წლების საქართველოში.

ქართველობას თითქოს ლეთარგიული ძილით დასძინებოდა ამ დროს და საზოგადოების ფენები, თავად-აზნაურობა, ვერ აღიქვამდა ახალი ფორმაციის შემოსვლას საქართველოში, მაშინაც, სწორედ ღირებულებების გადაფასება ხდება. დგება საკითხი: როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა? ძველი, პასტორალური სიმშვიდით თუ ახალ ცხოვრებას უნდა აუწყოს ფეხი, ახალი დროის მოთხოვნებს უპასუხოს? და თუ უნდა უპასუხოს, მაშინ ისე, რომ არ დაკარგოს ძველი, ტრადიციული. ამის გამოძახილია ის პოლიტიკური პრობლემაც, თუ როგორ მიიღოს რუსეთის შემოსვლა, როგორ მიიღოს გეორგიევსკის ტრაქტატი.

ილიამ სცადა ქართველობა ამ საუკუნო ძილიდან გამოეყვანა, გამოეფხიზლებინა, სწორედ მან მოუწოდა მიძინებულ ერს: „...როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?“ – და თვითონვე გადაწყვიტა მიძინებულის გამოფხიზლება, „დავრდომილის აღდგენა“, „უნუგეშოსთვის ნუგეშის მოფენა“. ამეტყველდა პირველად სამშობლოსათვის მგზნებარე გული და აღმოსკდა მას ენერგიულობისა და სიცოცხლის ის წყურვილი, რომელიც ასე ახალისებს მის შემოქმედებას.

ილია მომხრეა დინამიზმის, აქტიური ცხოვრების, განურჩევლად საზოგადოების ყველა ფენის, მას იტაცებს მშფოთვარე, მრისხანე და დაუდეგარი სახე ბაირონისა. უყვარს სტიქიონი, ბრძოლის სული და მუდმივი მოქმედება. მას უყვარს მოქმედი, გაღვიძებული ადამიანი, რომელსაც „ძილშიაც არა სძინავს ქვეყნის უბედურებით გულ-აღტკინებულსა“. ილია გულმოდგინედ ეძებდა ასეთ ადამიანს და მიაგნო კიდეც, ის იყო ხალხის წიაღიდან გამოსული მოხევე, „ჭაღარა მორეული, ხანში შესული კაცი“, და თანაც „თვალ-ყურმადევარი იმ პატარა ქვეყნისა, რომელიც მის გარშემო ბედს შემოეხაზა და რომელიც იმის უფერულის ცხოვრების მისაქცევ-მოსაქცევად დაენიშნა“. იგი იყო სულით და ხორცით ქართველი, რადგან „გლეხობა, მშრომელი კაცი, ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ეროვნულ ტრადიციებს, ენას, ვერ ურიგდებოდა მათ გადაფასება-გადასხვაფერებას, მაგრამ ერის ბედისადმი საყოველთაო ინდიფერენტიზმი, გულგრილობა, უკვე მიწის მუშისთვისაც აღარ იყო უცხო გრძნობა“. ისინი მხოლოდ მოვლენების სწორად შემფასებლები იყვნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, სინამდვილის შეცვლა არ ძალუძდათ.

ილია ამბობდა: „ქვეყანაზე ჭირი რომ არ იყოს, ადამიანი ენასაც არ ამოიდგამდაო“ და მართლაც, სწორედ ქვეყნის უბედურებამ აალაპარაკა ჩვენი მოხევე, რომელმაც სევდანარევი ტკივილით აღსავსე თვალები მიაპყრო მწერალს და თავისი გულისტკივილი გადაუშალა. ილია მის გულის ფეთქვაში ისმენს სოციალური დუღილის ხმას, რომელიც „ჩუმად, მაგრამ მაინც სწარმოებს, თუმცა არავინ უწყის, როდის იფეთქებს მისი აღვსილობა“.

აწმყოთი სრულიად უკმაყოფილო მოხევეს წარსულისათვის მიუპყრია სევდიანი თვალი და მწერლის შეკითხვაზე, თუ რით იყო უკეთესი ადრინდელი დრო, პასუხობს: „ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუნდეს, მით იყვის უკედ. ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟაი ვაჟაბდის, ქალაი ქალაბდის“ – ნუხს მოხევე, რომ ყველამ და ყველაფერმა უწინდელი სახე დაკარგა, გადასხვაფერდა. სამშობლოს ცნებაც კი აღარ იყო ისეთი ფასეული, როგორც მაშინ. ალბათ, ეს ყოველივე ახალი დროებისა და ფორმაციის შემოსვლამ გამოიწვია.

შესავალ საუბარში აღვნიშნე, რომ ყველა ეპოქას თავისთავად მოაქვს ღირებულებათა მსხვრევა. თუ ადრე ქართველები „ერთურთს ლაღ მტერთან ჩაეფარვიდნენ“ და მხოლოდ თავის სამშობლოს იცავდნენ ფარით და მახვილით, ახლანდელმა დრომ აიძულა ისინი, რომ სამშობლოს დამპყრობელს მომსახურებოდნენ და ცხადია, ემსახურებოდნენ კიდეც, თანაც იმავე ენთუზიაზმით, როგორითაც საკუთარ ქვეყანას.

ვაჟი აღარ ვაჟობდა მხოლოდ თავისი სამშობლოსათვის, აღარ მოიძებნებოდა იდეალური ვაჟკაცი, არავინ იყო ქვრივობლის განმკითხავი, დაცემულის აღმდგენელი. წამხდარა ის მამა-პაპური სულისკვეთება, რომელიც წინა საუკუნეებში ამშვენებდათ ქართველ ვაჟებს. ლელთ ღუნიას წუხილს იზიარებდა ილიაც. იგი გრძნობდა, რომ ქართველებში დაკარგულიყო „სახელისათვის ამაყი თრთოლა, მამულის მტერთან მედგარი ბრძოლა“. ისინი, ამჟამად, სახელისათვის კი არა, დიდებისთვის უფრო იბრძოდნენ.

შეიძლება, ყოველივე ამაში ქართველი ქალებიც იყვნენ დამნაშავენი, რადგან ისინი იმ ეროვნული სულისკვეთებით აღარ ზრდიდნენ შვილებს, რითაც გასულ საუკუნეებში. თუ ადრე ქრისტეს მცნებები იყო შვილის აღზრდის წყარო, ახლა ეს ნაკლებღირებული გახდა მათთვის და, ლელთ ღუნიას თქმისა არ იყოს, „ქალი აღარ ქალობს“. ალბათ ქალურმა მოკრძალებამ მათთვის უკვე ფასი დაკარგა. როგორც ვიცით, ქალისა და მამაკაცის ადგილი საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობას ოდითგანვე იწვევდა. ჯერ კიდევ ჩვენამდე მოღწეულ პირველ ქართულ თხზულებაში „შუშანიკის წამება“ იაკობ ხუცესი შუშანიკის ენით გვეუბნება: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?“ ცხადია, ღირებულებათა ასეთი მსხვრევის წინააღმდეგი არ იყო ლელთ ღუნია, მაგრამ ქალისა და მამაკაცის გათანასწორება იმასაც არ ნიშნავს, რომ ქალმა დაკარგოს ქალური სახე, ყველაფერში გაუთანაბრდეს მამაკაცს და „ქალაი აღარ ქალაბდეს“.

თვითონ ილიაც მწვავედ განიცდიდა ამ საკითხს. თუ ქართველი ქალი „უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა“, ახლა გაჰქრა ის დრო. გმირი ქალები მხოლოდ სანთლითღა მოიძებნებოდნენ. იგი მოუწოდებდა ქართველ დედებს, ჭეშმარიტ მამულიშვილებად აღეზარდათ შვილები და ისინი ნამდვილ ვაჟკაცებად გაიზრდებოდნენ, თანაც „მოგვცემდნენ ნაყოფს, ვით კაცი კაცურს“.

ჩვენი აზრით, „ქალის ქალობა“, მთელი საუკუნის პრობლემა იყო. ტექსტის სწავლებისას ჩვენ პარალელი გავავლეთ და გავიხსენეთ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“, სადაც პოეტი შენატრის ისეთ ქალებს, როგორსაც ლელთ ღუნია და როგორნიც ჯერ კიდევ XVIIIს-ში იყვნენ. ასეთი დედანი მხოლოდ „მარად ნეტარნი“ და „ტკბილსახსოვარნი“ არიან მის დროს, ამიტომ დანანებით მიმართავს ავტორი მათ: „რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ, სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ?“

ამიტომ არის, რომ აწინდელი დრო, მყოობადი, გულს უსივებს მოხევეს. იგი ჩაცმულობაში ცვლილებას მორალური სახის დაკარგვად აღიქვამს. მას არ მოსწონს რუსულ „ტალავარში“ გამოწყობილი ილია, რადგან მისი აზრით, „გული შიგნიდან არნ, უხედველ, ტალავარ გარედ არნ, სახედველი“, მაგრამ ილია ამაში ვერ ეთანხმება მოხევეს. ტანისამოსი არ იყო იმდენად მნიშვნელოვანი ფასეულობა, რომ მისი შეცვლით სულიერად შეცვლილიყო ადამიანი, რადგან ევროპულ ტანსაცმელში შეიძლება სამშობლოსათვის ანთებული გული სდებოდა კაცს.

შეიძლება საქართველოს რუსეთთან შეერთებით ბევრი ტრადიცია დაიკარგა და დაირღვა, მაგრამ წარსულზე ტირილი არაფრის მომტანია. მოსწავლეებთან ერთად გავაანალიზეთ, რომ ილიასთვის ოპტიმიზმი ერის ვალდებულებაა. იგი ხომ გვეუბნება: „მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი“, თუმცა მარტო აწმყოთი ცხოვრებაც არ არის საკმარისი. აუცილებელია მომავლისათვის ზრუნვა, რის გამოც რუსეთიდან უნდა მივიღოთ ის, რაც პროგრესულია, მაგრამ ისე, რომ შევინარჩუნოთ ჩვენი ტრადიციული, ეროვნული, რადგან „პროგრესი ის კი არ არის, რომ გუშინდელი დაანგრიო, არამედ შეინარჩუნო მისი ყველაზე არსებითი მხარე, რომელსაც ძალა შესწევს, ფუძედ გამოადგეს უკეთეს დღევანდელს“.

ალბათ ილიას სწავლების გზას უნდა გავყვეთ, რომ მივიღოთ მხოლოდ დადებითი. ამის სიმბოლური გამოხატულებაა რუსულ „ტალავარში“ გამოწყობილი ქართველი, როგორიც ილიაა.

სულიერ ფასეულობას წარმოადგენდა ლელთ ღუნიასთვის გაუქმებული ერთა საბჭო, რომლის შესახებ საუბარსაც ნაწარმოებში ვხვდებით: – „ეხლა რატომ აღარ არის ეგა?“ – ეკითხება ილია ლელთ ღუნიას. ასეთი შეკითხვით გაოცებულია მოხევე და პასუხობს: – „აწინა?... ერობა სადა არნ? რუსობაჩი ვარნ. აწინა ყველაი გაცუდდის, ყველაი გაუქმდის“.

შეწუხებულია მოხევე, უჭირს იმის აღიარება, რომ ის, რაც ძვირფასი, წმინდათაწმინდა და ფასეული იყო, ძალაუნებურად გადაფასდა. „ერთა საბჭო“ მაშინ იყო ღირებული და ხალხსაც მაშინ ჰქონდა ბჭობის სურვილი, როცა „ერი ერობდის“. ახლა კი რომელ ერთა საბჭოზე იყო ლაპარაკი, როცა 1801 წელს საქართველო რუსეთის მიერ ანექსირებული ქვეყანა აღმოჩნდა. დავითისა და თამარის ოდინდელი დიდების მქონე ერთიანი ამერ-იმერეთი რუსეთის დიდი იმპერიის განაპირა პროვინციად იქცა: თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებად, ხოლო ეროვნული ვინაობის აღდგენა და მოსალოდნელი ფათერაკისაგან დაცვა მხოლოდ მოძრაობით, მოქმედებით, ბრძოლით შეიძლებოდა.

მწერალი თითქოსდა ლელთ ღუნიასთან საუბარში ამოწმებს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის იდეის სისწორეს, თერგისა და მყინვარის შედარებაში რომ გამოკრთა შეფარვით: – „ეხლა ხომ მშვიდობიანობა რის?“ ეკითხება მოხევეს ილია და ამ კითხვით სასწორის პინებზე დებს ორ სხვადასხვა ღირებულებას: ერთ მხარეს – თავისუფლებას, მაგრამ ამასთან განსაცდელით აღსავსე ცხოვრებას მთელი მისი ტრაგიკული სიდიადით და მეორე მხარეს – ეროვნული დამოუკიდებლობის ნგრევის ფასად მოპოვებულ უსაფრთხოებას, მშვიდობას, როგორც გარკვეულ ღირებულებას. ლელთ ღუნია უყოყმანოდ ირჩევს პირველს, სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მძიმე ბრძოლის გზას: „რაი არნ მშვიდობა? უხმარ სატევარს ჟანგი დაედვის, უსრბოლო წყალჩი ბაყაყი, ჭია-ჭუაი, ქვემძრომი გამრავლდის, უდეგარ, უსვენარ თერგჩი კი კალმახი იცის!“

როგორც ვხედავთ, მოხევეს წარსულისათვის მიუპყრია სევდიანი თვალი, რადგან მხოლოდ წარსულია მისთვის მნიშვნელოვანი და ღირებული; აწყმოში კარგს ვერაფერს ამჩნევს, ალბათ

საუბრები ლიტერატურაზე

იმიტომ, რომ ღირებულებას მხოლოდ ქვეცნობიერად განიცდის, პრობლემის არსში წვდება. თუმცა, შეიძლება ყველა მიზეზს ბოლომდე ვერ იაზრებს და ეს არც მოეთხოვება. მართალია, განათლება არ აქვს მიღებული, მაგრამ მისი სახით ილია დაპირისპირებას ახდენს ყალბ, მოჩვენებით განათლებასთან, რომლის მხატვრული განხორციელებაც არის რუსი ოფიცერი. იგი ხასიათდება ისეთი ნიშნებით, როგორიცაა მლიქვნელობა, ამპარტავნება, გონებრივი შეზღუდულობა, რომელთაგან არც ერთი არ შეიძლება ჰქონდეს ჭეშმარიტად განათლებულ ადამიანს.

ოფიცერი საუბრობს უცხოური ტერმინებით, რომელთა აზრი თვითონაც არ იცის და ცდილობს, „ზდაბიურად“ აუხსნას ილიას. იგი ყვება, როგორ დაუმტკიცა მთელ რუსეთს, რომ მისი გული მოსკოვი კი არა, პეტერბურგია, რომლის ნახვაც კი საკმარისია განათლებაში ფეხის შესადგმელად. მისი აზრით, ქვეყნის წინსვლა მხოლოდ „ეპოლეტებიანი გენერლებით“ განისაზღვრება. თუმცა რა უნდა მოვთხოვოთ იმგვარი განათლების მქონე ადამიანს, რომელსაც თავი მწერლად და მეცნიერად მოაქვს და დაკავებულია ისეთი „სამეცნიერო“ საქმით, როგორიცაა ბუზების მეშვეობით შაქრის ქურდის დაჭერა.

აქ ილია იყენებს კონტრასტის ხერხს. ეს პრობლემაც ღირებულებათა გაუფასურებაა, რადგან ჭეშმარიტი განათლება დიდი ღირებულებაა და დაიკარგა. სწორედ დღევანდელმა ცხოვრებამ მოიტანა ასეთი ხშირი გამოთქმა „სწავლამ ფასი დაკარგა“, ე.ი. ნაკლებად ღირებული გახდა. თუ ადრე მხოლოდ ერთეულები მიდიოდნენ საზღვარგარეთ სწავლის შესაძენად, იმიტომ, რომ მიეღოთ ცოდნა და ქვეყანას გამოსდგომოდნენ, დღეს „განათლების“ ცნება საყოველთაო გახდა, ე.ი. ეს პრობლემა ახლაც აქტუალურია.

როგორც შესავალში აღვნიშნეთ „მგზავრის წერილების“ შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, მნიშვნელოვანია, როგორ მივაწვდით მას მოსწავლეებს – მშრალად, საზეპიროებისა და შინაარსის დონეზე, თუ უფრო ღრმად, ეროვნულ განმათავისუფლებელი ბრძოლის ჰიმნად.

საჭიროდ ჩავთვალე ნაწარმოებისადმი მიძღვნილი პირველი გაკვეთილი დამეწყო მცირე შესავლით. მოსწავლეთა ყურადღების მობილიზებისათვის, ინტერესების გაღვიძებისათვის კარგ მასალას იძლევა „მგზავრის წერილების“ ტექსტის ისტორია: ნაწარმოები დაიწერა 1861 წელს. ცენზურული პირობების გამო, მხოლოდ 1871 წელს დაიბეჭდა შემოკლებით, სრული სახით კი 1892 წელს გამოქვეყნდა. შესავალი საუბრის შემდეგ მოსწავლეები გარკვეულწილად შემზადდნენ „მგზავრის წერილებთან“ მისაახლებლად. ჩემი მიზანი იყო, ტექსტის დამუშავებისას, ისინი თანდათან გამერკვია, თუ როგორ წამოსწევს ნაწარმოები ეპოქით განსაზღვრულ მარადიულ ღირებულებებს, როგორ ისახება გზა „საქართველოს, ხალხის ცხოვრების გამჯობინებისათვის“.

ყოველივე ამის შემდეგ კი შევუდექით ტექსტზე მუშაობას. „მგზავრის წერილების“ მოცულობის სიმცირიდან გამომდინარე, საშუალება მოგვეცა ტექსტის მნიშვნელოვანი ადგილები კლასში, გაკვეთილზევე დაგვემუშავებინა და გაგვანალიზებინა. პირველივე თავში ყურადღება გავამახვილეთ სახე-სიმბოლოებზე: რუსი „იამშჩიკი“, „მამულის კვამლი“, „ფრანსიელი“ და „პოვოსკა“. ზოგიერთი თავი კლასში კითხვისას გამოვტოვეთ, ოღონდ მოსწავლეებს მივეცი გარკვეული ორიენტაცია დამოუკიდებელი მუშაობისათვის. ამასთან, დავავალე, რომ მეორე თავში დაკვირვებით წაეკითხათ თერგისადმი მიძღვნილი მონაკვეთი, აგრეთვე ადგილი რუსეთში გატარებული ოთხი წლის თაობაზე, რაც ზეპირად უნდა დაესწავლათ.

პირველი თავის წაკითხვის შემდეგ გავეცანით ცნობილ მონაკვეთს: „როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე“ და ვიმსჯელეთ ამის შესახებ, ხოლო შემდეგ ყურადღება გავამახვილეთ „მგზავრის წერილების“ ცენტრალური სახე-სიმბოლოების – მყინვარისა და თერგის მნიშვნელობის დადგენაზე. მათი შედარება-შეპირისპირებით მოსწავლეებმა გამოკვეთეს „მგზავრის წერილების“ ძირითადი იდეა, გაიაზრეს, რომ „მოძრაობა“ შინაარსობრივად ძალიან ფართო ცნებაა და იგი ზოგადად მოქმედებას, აუცილებლობას, აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციას გულისხმობს.

ილიასა და ლელთ ღუნიას საუბარი კი მოთხრობის საყრდენი იდეის ფონზე განვიხილეთ, როგორც ამ იდეის კონკრეტული გამოვლენა ეროვნულ ასპექტში. მოსწავლეებს ყურადღება მივაქცევინე მის პიროვნებაზე: „იგი თვალ-ყურმადევარი ყოფილა იმ პატარა ქვეყნისა, რომელიც მის გარშემო ბედს შემოეხაზა“. ამის მეშვეობით მოსწავლეებმა მასში არა მარტო ხორცით, არამედ სულით ქართველი დაინახეს, რომელიც, თავისი მარტივი ცხოვრების მიუხედავად, ჩაჰფიქრებოდა თავისი ხალხისა და ქვეყნის ყოფას.

გავეცანით რა ილიასა და მოხევის დიალოგს, მოსწავლეებს ვთხოვე, დაჰკვირვებოდნენ შემდეგ ადგილებს: 1. წარსულისა და აწმყოს დახასიათება ლელთ ღუნიას მიერ; 2. საუბარი მშვიდობაზე; როგორ აფასებს იგი მშვიდობას და რა არ მოსწონს მასში; 3. ილიას ფიქრი მოხევესთან საუბრის შემდეგ.

ტექსტის დაკვირვებულმა დამუშავებამ, ვფიქრობ, შეგვამზადა საიმისოდ, რომ მოსწავლეებისთვის დაგვესვა შემდეგი კითხვები: 1. როგორია ლელთ ღუნიას დამოკიდებულება აწმყოსადმი? 2. როგორ ახასიათებს მოხევე აწმყოს, წარსულს? 3. რა მიაჩნია მოხევეს ერის დაქვეითების მიზეზად? 4. თქვენი აზრით, რამ გამოიწვია ღირებულებათა გადაფასება? 5. რა შეუძლია თითოეულ ჩვენგანს, რომ დაუბრუნდეს ჭეშმარიტი მნიშვნელობა ამ გადაფასებულს? 6. თქვენი აზრით, რამდენად შეესაბამება ჩაცმულობა ადამიანის შინაგან სამყაროს? 7. თქვენ როგორ გესახებათ ქალის ქალობა და ვაჟის ვაჟობა?

ყოველივე ამის შემდეგ მოვისმინეთ გოგი ხარაბაძის მიერ წაკითხული „მგზავრის წერილები“, რამაც, მოსწავლეების თქმით, მათ წარმოდგენაში გააცოცხლა თითოეული სცენა. ამის შემდეგ გადავწყვიტეთ, გამოგვეყენებინა „როლური თამაში“ და კლასში, წინასწარი მომზადების შემდეგ, გავაცოცხლეთ სცენები: „ილიას ფიქრები ქვეყანაში დაბრუნებისას“, „ილიასა და რუსი ოფიცრისა და მოხევის საუბარი“. ასეთი მეთოდით მოსწავლეებმა უფრო მძაფრად აღიქვეს ილიას განცდები, მოხევურმა კილომ დააახლოვა ლელთ-ღუნიას პიროვნებასთან, ხალხის ფიქრებთან და მიმაჩნია, რომ ნაწარმოები ასე უფრო უკეთ აღიქვეს და შეაფასეს, როგორც ეპოქალური ღირებულების დოკუმენტი.

ჩვენი სტატიის პრობლემასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მივიჩნიე შემდეგი თემების დამუშავება: 1. ილიასა და ლელთ ღუნიას დიალოგი (თქვენი კომენტარი); 2. ლელთ ღუნია, როგორც სიმბოლო ეროვნული ფასეულობისა; 3. საქართველოს რუსეთთან დაკავშირების სულიერი მნიშვნელობა; 4. თავისუფალი თემა – ქართველი ხალხი გუშინ (XIX ს-ის II ნახ.), დღეს, ხვალ.

„მგზავრის წერილების“ სწავლებისას, საჭიროდ ჩავთვალე მოსწავლეებისთვის წასაკითხად მიმეცა ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც თხზულებაში აღნიშნულ პრობლემებთან იქნებოდა დაკავშირებული: ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“, „გლახის ნაამბობი“, პოემა „აჩრდილი“; მიხეილ ჯავახიშვილის – „თეთრი საყელო“, „გივი შადური“; კონსტანტინე გამსახურდიას – „დიონისოს ღიმილი“; ჟან-ჟაკ რუსოს „ემილი, ანუ აღზრდის შესახებ“. აქ, მართალია,აღზრდის საკითხია გადმოცემული, მაგრამ რუსო ზნეობრივი აღზრდის ძველ, ტრადიციულ ღირებულებებს ანიჭებს უპირატესობას ახალთან შედარებით, აგრეთვე გურამ ფანჯიკიძის „აქტიური მზის წელიწადი“, ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელი“, „სტუმარ-მასპინძელი“ – ამ პოემებში იგივე პრობლემაა, ოღონდ სხვა კუთხით გაშუქებული. ილიას „მგზავრის წერილების“ სწავლებით მოსწავლეები ჯეროვნად შემზადდნენ პრობლემების უფრო ღრმად და ფართოდ გააზრებისათვის.

ახლა კი ისევ ილიას დროს დავუბრუნდეთ. მაშინ ჯერ კიდევ ფასობდა ცნება: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“, მაგრამ ახლა ეს ღირებულებაც გადაფასდა. სამწუხაროდ, დღევანდელმა დრომ ეს პრობლემა ისევ მოიტანა; ჩვენ ჩვენი თავი როგორ უნდა გვეყუდნოდეს, ეს ნიშნავს საკუთარი თავის უფლებას. დღევანდელი დრო კი გვთავაზობს ამ ფრაზის შეცვლილ, გადაფასებულ მნიშვნელობას. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ – გარკვეული ზომით და გარკვეულ ფარგლებში. აი, ამ კითხვებს უტრიალებს ამ პატარა, მაგრამ ტევად მოთხრობაში ახალგაზრდა ილია და ეს მოთხრობა ისევ აქტუალურია დღეს, თუ უფრო მეტადაც არა, როგორც მაშინ.

ამ ნაწარმოების სული, მიზანდასახულობა, ფორმა თვით ტონიც კი უფაქიზეს ანალიზს მოითხოვს. თუ ეს მოხერხდა გაკვეთილზე, მოსწავლეები იგრძნობენ როგორც ნაწარმოებში დასმული პრობლემის აქტუალობას, ისე ილიას სიდიადეს.

თამარ ნაჩხატაშვილი
სსიპ გიორგი ლეონიძის სახელობის
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარძეულის
საჯარო სკოლის
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ლიტერატურა:

1. ვ. კოტეტიშვილი, XIX ს-ის ქართული ლიტ-ის ისტორია, II ტ.
2. ნ. გრიგალაშვილი, სკოლაში შესასწავლი მწერლები
3. ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საფუძვლები
4. ხოსე ორტეგა ი გასეტი – მასების ამბოხი.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და დავით აღმაშენებელი

ყველა მოსწავლის წარმატებით სწავლა დღევანდელი ცხოვრების უპირველესი ამოცანაა. ყოველი საგნის მასწავლებელი ვალდებულია, შეადგინოს გაკვეთილის კარგად გააზრებული გეგმა, რომელიც განსაზღვრავს თემას, მიზნებს, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგებს, დროს, თანამიმდევრობას, აქტივობებს, რესურსებს და სხვ.

ცალკე აღებული ლიტერატურის გაკვეთილი, ბევრ შემთხვევაში, გაკვეთილების საერთო სისტემის განუყოფელი ნაწილია, ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი მომდევნო გაკვეთილი წინა გაკვეთილის გაგრძელებაა, ამიტომ გაკვეთილზე ვლინდება მასწავლებლის პროფესიონალიზმი, მოსწავლეთა აქტივობა, რომელიც ემყარება ტექსტის ცოდნას, დაკვირვებას, შედარება-შეპირისპირებას, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ძიებას, დასკვნის გამოტანის უნარს.

სიტყვიერების მასწავლებელზეა დამოკიდებული თემის სათაურის სწორი შერჩევა.

X კლასში ისწავლება „ვეფხისტყაოსანი“, რომელშიც კარგად იკვეთება მეფეთა სახეები, მათი თვისებები – პატრიოტიზმი, ჰუმანიზმი, სიუხვე, ერთგულება, სამართლიანობა,ზრუნვა მოყმეებზე და ა.შ. ჩვენ შეგვიძლია, რეალურ მეფეებთან გავავლოთ პარალელი, ამიტომ შევარჩიეთ გაკვეთილის თემად „შოთა რუსთაველის „ვეფსიტყაოსანი“ და დავით აღმაშენებელი“. გაკვეთილის ძირითადი მიზანი იყო ტექსტის ღრმა ცოდნა, წინაპრებისადმი პატივისცემა და პატრიოტული გრძნობის აღზრდა, წინარეცოდნის გახსენება, შედარება-შეპირისპირების, დამოუკიდებელი, შემოქმედებითი აზროვნების უნარების განვითარება და ჩამოყალიბება.

გაკვეთილის დასაწყისში, გონივრული იერიშით, კლასში სათანადო განწყობა შევქმენით, შევიტანეთ კროსვორდები, რომლებიც პოემის ცოდნას ითვალისწინებდა, „ვეფხისტყაოსნიდან“ მოტანილ ციტატებში უნდა შეევსოთ გამოტოვებული სიტყვები ისე, რომ ვერტიკალურ სვეტში მიეღოთ: „დავითი“, „ვეფხისტყაოსანი“, „რუსთაველი“.

გაკვეთილი საინტერესოდ დაიწყო, მოსწავლეები კარგად ართმევდნენ თავს დავალებას, მაგალითად, „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი.....(დარგი)“, „ცრემლსა .....(ვარდი) დაეთრთვილა“ და ა.შ.

პრეზენტაციის შემდეგ კლასის წინაშე ვსვამთ კითხვებს: რა არის გაკვეთილის სათაური? ვინ იყო დავითი და როდის მოღვაწეობდა? რა თვისებებით იყო შემკული? რა ძლიერებას მიაღწია მის დროს საქართველომ პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით? რა შეისწავლეს წინა კლასებში დავითზე? და სხვ.

მოსწავლეები თანმიმდევრულად პასუხობდნენ, რომ იგი იყო: ლმობიერი და მოწყალე, სამართლიანი და განგებიანი, ქველი, წესრიგის მოყვარე, მკაცრი, ცოდნისა და წიგნისმოყვარე, ჰქონდა უდრეკი ნებისყოფა და ულევი ენერგია, იყო ნიჭიერი მმართველი, ფიზიკურად ძლიერი, გელათის აკადემიის დამაარსებელი, მელექსე... თავიანთ ნათქვამს არგუმენტებით აჯერებდნენ – „და ფრიადისა ცემისაგან ხრმალმანცა დაღვარჭნილმან, უარყო ქარქაში თვისი“; რა იხილა „კუდი ძაღლისა არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს“; „და შეიპყრო ლიპარიტ ივანეს ძე. ორი წელი ტყვედ ჰყავდა და მერე საბერძნეთს გააძევა“; „დღე და ღამე... წიგნები ეტვირთა ჯორთასა და აქლემთასა“. მეფე, როცა ქსენონი ააშენა, სხვადასხვა სენით შეპყრობილ ავადმყოფებს პირადად ნახულობდა, უვლიდა, პატრონობდა. ერთხელ მოძღვარ იოვანესთვის 24 ათასი დრაჰკანი მიუცია გლახაკთათვის დასარიგებლად. მის დროს, „რამეთუ ყოველთა კაცთა იყო წესიერება, ყოველთა კანონ, ყოველთა პატივისცემა და თვით მათ მეძავეთა ყოველთა კრძალულება, ყოველთა შიშ და მართებულ გზათა საღმთოთა და მშვიდობისათა“.

მოსწავლეები იხსენებენ დავითის რეფორმებს, შემდეგ კი მასწავლებელი მიუთითებს, „გალობანი სინანულისანის“ წაკითხვისას რაზე გაამახვილონ ყურადღება: „სჯულნი დავთრგუნენ“, „მხეცსა ვემსგავსე“, „სოფლისა დიდებით ვეძებ დაპყრობად“, „მებრძოლ ვიქმენ ყოველთა“, „ვერცხლი ოქრო ვიუნ“, „ცრემლი ქვრივნი ტირილით არ შევიწყალე“, „ესენი ვცოდენ, შემიწყალე... იესო ჩემო“. იხსენებენ ეპიტაფიას – „ვის ნაჭარმაგევს მეფენი...“, ანა კალანდაძის ლექსს „ფეხი დამადგით“.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გამოყონ პოემიდან მეფეთა სახეები, მათი თვისებები და შეადარონ დავითის ადამიანურ თვისებებს.

როსტევანი
„...მეფე ღმრთისაგან სვიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი ყმიანი,
მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული განგებიანი,
თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი.“

ფარსადანი
„ინდოეთს შვიდთა მეფეთა ყოვლი კაცი ხართ მცნობელი
.....
უხვი, მდიდარი, უკადრი, მეფეთა ზედა მფლობელი,
ტანად ლომი და პირად მზე, ლომად მძლე,
რაზმთა მწყობელი.“

„მეფეთა შიგან სიუხვე ვით ედემს ალვა, რგულია,
უხვსა ჰმორჩილებს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია.“
„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორედ მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგენყინების.“

„რამაზ მეფე მის წინაშე შეპყრობილი მივიყვანე
.....
ორგული და მოღალატე ნამსახურსა დავამგვანე
.....
შევუნდობო ხატაელსა ....“

პოემიდან მოტანილი ნაწყვეტებიდან გამომდინარე, მოსწავლეები ასკვნიან, რომ მეფე არის ღვთიური – „მისგან არს ყოვლი ხელმწიფე“, ცოდვიანი – „ცოდვათა შემსუბუქება მუნ თანა წასატანისა“, პატრიოტი – „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?“, „ჩემი ძე დავსვათ ხემწიფედ, ვისგან მზე საწუნელია“ (სიცოცხლეშივე ზრუნვა სახელმწიფოზე) და ა.შ. დასკვნა – როცა შოთა რუსთაველი ქმნიდა მეფეთა სახეებს და ხატავდა მათ თვისებებს, აუცილებლად ითვალისწინებდა დავით აღმაშენებლის სახეს. ასეთი მეფე ყოველთვის შუქით იქნება გარემოცული და აკი დიდი პოეტი ათქმევინებს კიდეც ერთ-ერთ გმირს: „მიღვწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები“.

მანანა ყაბანაშვილი
კასპის №1 საჯარო სკოლის
პედაგოგი

სასკოლო აქტივობა

წიგნიერების პრობლემა და მისი დაძლევის გზები

სასწავლო საგანმანათლებლო პროექტი „წიგნი სიყვარულია“

წიგნის კითხვა ადამიანის შინაგან ბუნებას რომ ალამაზებს, უცნობი არავისთვისაა. შეიძლება დაუსრულებლად ვილაპარაკოთ ლიტერატურისა და წიგნის დანიშნულების არსზე, მაგრამ რა ხდება დღეს? ეს პრობლემა ჩვენთვის, მასწავლებლებისთვის, ძალზე საგულისხმოა, რადგან ჩვენი მოსწავლეები იმდენს არ კითხულობენ, რამდენიც მათი სრულფასოვანი განვითარებისთვისაა საჭირო. მასწავლებელი ვერ მიაღწევს ვერც ერთ სასწავლო შედეგს, თუ მოსწავლემ საჭირო მასალა არ წაიკითხა. ამასთან, სააზროვნო უნარების განვითარება მხოლოდ წაკითხულის გააზრებითა და გაანალიზებით მიიღწევა, ხოლო მაღალი შემოქმედებითი უნარების განვითარებისთვის მოსწავლე კლასგარეშე ლიტერატურასაც ხალისით უნდა კითხულობდეს. ჩვენმა სინამდვილემ ბავშვები წიგნებს დააშორა, რაც ძალიან შემაშფოთებელია. მიმაჩნია, რომ ბავშვობამ მსოფლიო ლიტერატურის შედევრების წაკითხვით მიღებული ემოციების გარეშე არ უნდა ჩაიაროს. არსებობს წიგნები, რომელთა წაკითხვაც ადამიანმა გარკვეულ ასაკამდე უნდა მოასწროს, რადგან მერე ის ღირებულება აღარ ექნება. მაშ, როგორ დავძლიოთ ეს პრობლემა? როგორ გადავაქციოთ უხალისო მკითხველები მონდომებულებად? როგორ მოვახერხოთ მათი შთაგონება? რა ვასწავლოთ მათ, რომ წარმატებას მიაღწიონ?

ამ კითხვაზე, რასაკვირველია, ერთი კონკრეტული პასუხი არ არსებობს. არსებობს პრობლემა და განათლების ექსპერტთა მიერ შემოთავაზებული სტრატეგიები, რომლებიც შეიძლება წარმატებით დავუპირისპიროთ მას. მთავარია სურვილი და მოქმედების დაწყება და ეს სურვილი გაჩნდა გასულ წელს, როდესაც ქუთაისის მე-15 საჯარო სკოლის პედაგოგმა და დღეს არასამთავრობო ორგანიზაციის „აკმე“ თანადამფუძნებელმა, ორგანიზაციის დირექტორმა **ნათია კალანდაძემ** შემოგვთავაზა საგანმანათლებლო პროექტი „წიგნი სიყვარულია“. პროექტში ჩართვას ხალისით დავთანხმდით, რადგან პრობლემის ნაწილობრივი მოგვარებისთვის დაგეგმილი საინტერესო აქტივობების გარდა, მოსწავლეებისთვის მისაღები აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ პროექტი ახალი მეგობრების შეძენასა და მათთან ურთიერთობასაც ითვალისწინებდა. საწყის ეტაპზე, პროექტში საქართველოს 14 საჯარო სკოლა ჩაერთო, დღეს კი ამ აქტივობას 28 სკოლა ახორციელებს. მათ შორისაა საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალისა და სოფელ სხვიტორის საჯარო სკოლები (ჭალის საჯარო სკოლის დირექტორი – **გელა ჩხიტუნიძე**, სხვიტორის საჯარო სკოლის დირექტორი – **მალხაზ გელბახიანი**).

პროექტის ფარგლებში, შევხვდით სკოლის დირექტორს, მშობელს, ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულ წარმატებულ სტუდენტს, მასწავლებელს, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, **გიორგი ღავთაძეს** და ერთად განვიხილეთ მათთვის საყვარელი წიგნები (პროექტის კოორდინატორი მოსწავლე წინასწარ ხვდებოდა მოსაწვევ სტუმარს და არკვევდა, რომელი წიგნი იყო მისთვის საინტერესო), რომელთაც პროექტის მონაწილე ყველა მოსწავლე კითხულობდა და შემდეგ სტუმართან ერთად განიხილებოდა როგორც ავტორის ბიოგრაფია, ასევე პერსონაჟთა დადებითი თუ უარყოფითი მხარეები, პრობლემატიკა...

ამავე პროექტის წყალობით, გასულ კვირას, ჭალისა და სხვიტორის სკოლის პროექტის „წიგნი საყვარულია“ კოორდინატორმა მასწავლებლებმა (**ირმა კრაველიძე** – ჭალის საჯარო სკოლა, **ეკა ღონღაძე** – სხვიტორის საჯარო სკოლა) და მოსწავლეებმა საჩხერის რაიონულ ბიბლიოთეკაში შეხვედრა და დათო ტურაშვილის ნაწარმოების „ჯინსების თაობა“ ერთობლივი განხილვა დავგეგმეთ, რაც მეტად საინტერესოდ წარიმართა. ცხარე დისკუსიის ფონზე, მოსწავლეებმა, ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან და მასწავლებლებთან ერთად, ისაუბრეს წიგნში აღწერილ იმ რეალურ, არც თუ შორეულ წარსულზე, ფაქტებსა და საინტერესო, გაბედულ პერსონაჟებზე, რომლებიც საბჭოთა რეჟიმისა და სისასტიკის მსხვერპლნი გახდნენ.

ვფიქრობთ, მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებში წიგნის სიყვარულის გაღვივებას, მისდამი ინტერესის ზრდას, მოქალაქეობრივი თვითშეგნებისა და პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებასა და განცდას, რომ წიგნი ცხოვრებას გვასწავლის. ამასთანავე, პროექტი ხელს უწყობს სხვადასხვა სკოლებს შორის კომუნიკაციასა და ინტეგრირებას, თანამშრომლობას სტუდენტებთან, საზოგადოებასთან და, რაც მთავარია, თაობათა შორის დიალოგს, ასევე, მოსწავლეებში იმ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, რომელიც აუცილებელია მთელი ცხოვრების მანძილზე საკუთარი ძალების რეალიზებისათვის, საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში მონაწილეობისა თუ თანატოლებთან მეგობრული ურთიერთდამოკიდებულებისათვის.

ირმა კრაველიძე
საჩხერის მუნიციპალიტეტი,
სოფელ ჭალის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

„გაზაფხულს ია ამოდის“

ამ დევიზით ჩატარდა, აპრილში, ქალაქ ქუთაისში, ა(ა)იპ კულტურულ სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების (მმართველი – **ელისო ქაროსანიძე**) და ამავე გაერთიანებაში შემავალი ფილიალის – მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის (ხელმძღვანელი – **მარინა მარჯანიშვილი**) ინიციატივით, ვაჟა-ფშაველას საიუბილეო წლისადმი მიძღვნილი საქალაქო კონკურსი მხატვრულ კითხვაში, რომლის მიზანი გახლდათ ქალაქის საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებში ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისადმი სიყვარულის გაღრმავება და მათ შორის წარმატებული მკითხველის წარმოჩენა. კონკურსის ორგანიზატორი გახლდათ ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის სამხატვრო ხელმძღვანელი და მეტყველების კულტურის შემსწავლელი სექციის პედაგოგი **ანა ჟღერია**.

ქალაქის კერძო და საჯარო სკოლებში I-დან XII კლასებში შიდა შესარჩევი ტურის ჩატარების შემდეგ, კონკურსში მონაწილეობის უფლება 80-მა მოსწავლემ მოიპოვა. ისინი შესაფერის ასაკობრივ ჯგუფებში გადანაწილდნენ: I ასაკობრივი ჯგუფი – I-IV კლასები, II ასაკობრივი ჯგუფი – V-IX, III ასაკობრივი ჯგუფი – X-XII.

ვაჟა-ფშაველას საიუბილეო წლისადმი მიძღვნილი საქალაქო მხატვრული კითხვის კონკურსი მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა, თუმცა კონკურსანტები საკმაოდ ღელავდნენ, რადგან თითოეულ მათგანს სურდა თავი მოეწონებინა ჟიურისათვის, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ჟიურის თავმჯდომარე – გურამ საღარაძის სახელობის მხატვრული კითხვის კონკურსის დამფუძნებელი, მსახიობის ქალიშვილი **მარინა საღარაძე**; კონკურსის საპატიო სტუმარი – ვაჟა-ფშაველას შვილიშვილი **ლელა რაზიკაშვილი**; ა(ა)იპ კულტურულ დაწესებულებათა მმართველი – მწერალი, ჟურნალისტი **ელისო ქაროსანიძე**; მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის დირექტორი **მარინა მარჯანიშვილი**; მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ესთეტიკურ-ჰუმანიტარული განყოფილების გამგე **მაია ასათიანი**; მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის სამხატვრო ხელმძღვანელი, ჟურნალისტი **ანა ჟღერია**.

კონკურსმა ხუთ საათს გასტანა. მიუხედავად ხანგრძლივი დროისა, დარბაზი სიჩუმეს ინარჩუნებდა და სულგანაბული უსმენდა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების სიყვარულით დატყვევებულ გულანთებულ გოგო-ბიჭებს.

კონკურსანტთა გამოსვლის შემდეგ, ჟიურის ბჭობისა და ქულათა დაჯამების შედეგად, ის სანუკვარი მომენტი დადგა, რასაც დაჯილდოება ჰქვია.

მხატვრული კითხვის კონკურსში წარმატებული მონაწილეობისათვის ოცდახუთ მოსწავლეს გადაეცა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის საპატიო სიგელი, ხოლო სახელობითი დიპლომებითა და ვაჟას წიგნებით შემდეგი მოსწავლეები დაჯილდოვდნენ:

ნომინაციები – „ყველაზე პატარა მკითხველი“ – **დემეტრე მარგველაშვილი**, პირველი კლასი; „ჟიურის აღმოჩენა“ – **კონსტანტინე ინანეიშვილი**, 4 წლის; „ჟიურის სიმპატია“ – **თომა ბუიღლიშვილი**, მეექვსე კლასი; „ყველაზე არტისტული“ – **მარიამ ბუსხრიკიძე**, პირველი კლასი; „მარინა მარჯანიშვილის რჩეული“ – **რუსა ბანძელაძე** – მერვე კლასი, 21-ე სკოლა; „ჟიურის თავმჯდომარის, მარინა საღარაძის რჩეული“ – **რევაზ ჭუმბურიძე** – მეექვსე კლასი, მე-7 სკოლა; „საპატიო სტუმრის – ლელა რაზიკაშვილის რჩეული“ – **ნინო გუგუმბერიძე** – მეცხრე კლასი, მე-6 საჯარო სკოლა;

I ადგილის მფლობელები გახდნენ :

მარიამ ედიბერიძე – პირველი კლასი, 31-ე საჯარო სკოლა (I-IV ასაკობრივი ჯგუფი); **ლუკა ნიკოლაძე** – მერვე კლასი, პირველი სკოლა (V-IX ასაკობრივი ჯგუფი); **საბა გრძელიძე** – მეათე კლასი, 32-ე საჯარო სკოლა (X-XII ასაკობრივი ჯგუფი).

კონკურსანტებიდან მოსწავლეთა გარკვეულმა ჯგუფმა თანაბარი ქულები დააგროვა და II-III ადგილები შემდეგნაირად განაწილდა:

II ადგილი – I-IV ასაკობრივი ჯგუფი:

ელენე ირემაძე – მესამე კლასი; **მათე შოთაძე** – პირველი კლასი; **ლუკა თელია**– პირველი კლასი (მ/ა სასახლის მეტყველების კულტურის შემსწავლელი წრის წევრები).

V-IX ასაკობრივი ჯგუფი:

გიორგი ძოძუაშვილი – მეექვსე კლასი, პირველი საჯარო სკოლა; **ლუკა ხაჭაპურიძე** – მეექვსე კლასი, მე-7 საჯარო სკოლა; **თორნიკე მიქაძე** – მეექვსე კლასი, მე-7 საჯარო სკოლა.

X-XII ასაკობრივი ჯგუფი:

ანი აბჟანდაძე, მე-10 კლასი, 33-ე საჯარო სკოლა.

III ადგილი – I-IV ასაკობრივი ჯგუფი:

ლიზი კოლუაშვილი – მე-3 კლასი, მე-20 საჯარო სკოლა; **გიორგი ხურციძე** – მე-3 კლასი; **ქეთი ჩიგოგა**, მე-3 კლასი; **მირიან ბოჭორიშვილი** – მე-2 კლასი (მ/ა სასახლის მეტყველების კულტურის შემსწავლელი წრის წევრები); **ნინო კუხიანიძე** – მე-3 კლასი; **დარჩილ დანგაძე** – მე-3 კლასი; **შოთიკო ბუსხრიკიძე** – მე-2კლასი.

V-IX ასაკობრივი ჯგუფი:

ანი გოლეთიანი – მე-8 კლასი, მე-7 საჯარო სკოლა; **საბა ესართია** – მე-5 კლასი, აფხაზეთის მე-6 საჯარო სკოლა.

X-XII ასაკობრივი ჯგუფი:

ლევან საცერაძე – მე-10 კლასი, მე-6 საჯარო სკოლა.

დაჯილდოების შემდეგ ჟიურის თავმჯდომარემ და წევრებმა სიტყვიერი შეფასებითა და შენიშვნებით მიმართეს კონკურსანტებს, უსურვეს ცოდნის გაღრმავება და სამომავლოდ კიდევ მრავალი გამარჯვება.

ვაჟა-ფშაველას საიუბილეო წლისადმი მიძღვნილი მხატვრული კითხვის საქალაქო კონკურსის „გაზაფხულს ია ამოდის“ დასასრულს, გამარჯვებულებს ა(ა)იპ კულტურულ სახელოვნებო დაწესებულებათა მმართველმა **ელისო ქაროსანიძემ** სიურპრიზი მოუწყო – ჩარგალში, ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმში ექსკურსიაზე წაყვანა დააანონსა.

მარიკა ბენიძე

სასკოლო აქტივობა

რაიონული ღონისძიება ფიზიკაში „არქიმედეს თასი“

მესტიის მუნიციპალიტეტის №2 საჯარო სკოლაში, მუნიციპალიტეტის გამგეობის (გამგებელი – **კაპიტონ ჟორჟოლიანი**) მხარდაჭერითა და ფინანსური უზრუნველყოფით, ჩატარდა სარაიონო ღონისძიება ფიზიკაში – პროექტი „არქიმედეს თასი“, ორგანიზატორი – სსიპ იფარის საჯარო სკოლა (დირექტორი – **ციცინო ფანგანი**), პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი – **დათუნა ჯოხაძე**, იფარის საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამის „ასწავლე საქართველოსათვის“ ხელმძღვანელი **ლალი წიკლაური**, მიზნობრივი პროგრამების სამსახურის სპეციალისტი **თამთა ნაცვალაძე**, მესტიის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელი **ელენე განაია**, საგანმანათლებლო რესურსცენტრის სპეციალისტი **ბესარიონ გულედანი**.

დღეს მოსწავლეები ნაკლებ ინტერესს იჩენენ საბუნებისმეტყველო დარგების, კერძოდ, ფიზიკის მიმართ (რთულ დარგად მიაჩნიათ). პროექტის მიხედვით, რაიონის სკოლებში ჩავატარეთ კვლევა, რომელმაც აჩვენა, რომ გამოკითხულ მოსწავლეთა 60%-ს უჭირს ფიზიკის სწავლა. მიმაჩნია, რომ ეს პრობლემა მეტად მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ, მოსწავლეები უფრო და უფრო შორდებიან ამ დარგს, შესაბამისად, დაბალია მათი მოსწრების დონე.

ვფიქრობ, ამ პროექტის განხორციელება (ყოველწლიურად ჩატარდება) ხელს შეუწყობს პრობლემის გადაჭრას: მოსწავლეებს საგნისადმი ინტერესს გაუღვივებს, განუვითარებს კვლევით და სოციალურ უნარ-ჩვევებს, ამაღლდება მათი მოტივაცია ფიზიკის სწავლების მიმართ, ისინი კონკურენტულ გარემოში საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენასა და ცოდნის რეალიზაციას შეძლებენ.

კონკურსი ორ ეტაპად მიმდინარეობდა: პირველი ტური სკოლებში ტესტირების სახით ჩატარდა. თითოეული სკოლიდან ოთხკაციანი გუნდები შეირჩა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სარაიონო ღონისძიებაში, სულ ჩართული იყო რაიონის 11 საჯარო სკოლის 44 მოსწავლე:

- **მესტიის №2 საჯარო სკოლა** (დირექტორი – **ნატო გვარლიანი**, ფიზიკის მასწავლებელი – **მაია ხორგუანი**);
- **მესტიის №3 საჯარო სკოლა** (დირექტორი – **ნათია გოშთელიანი**, ფიზიკის მასწავლებელი – **კლარა ფილფანი**);
- **ლენჯერის №2 საჯარო სკოლა** (დირექტორი – **ლალი გულედანი**, ფიზიკის მასწავლებელი – **მარინე ხვიბლიანი**);
- **ცხუმარის საჯარო სკოლა** (დირექტორი – **ლალი გურჩიანი**, ფიზიკის მასწავლებელი – **ლექსო გერლიანი**);
- **მაზერის საჯარო სკოლა** (დირექტორი – **ნარგიზა ხორგუანი**, ფიზიკის მასწავლებელი – **თინათინ კუზანაშვილი**);
- **ჭუბერის საჯარო სკოლა** (დირექტორი – **ნატო სუბარი**, ფიზიკის მასწავლებელი – **ნუნუ ვიბლიანი**);
- **ყარ-სგურიშის საჯარო სკოლა** (დირექტორი – **თამარ ჩხვიმიანი**, ფიზიკის მასწავლებელი – **სოფიო ქარდავა**);
- **ლატალის საჯარო სკოლა** (დირექტორი – **ციოყ წერედიანი**, ფიზიკის მასწავლებელი – **ლალა წერედიანი**);
- **მულახის საჯარო სკოლა** (დირექტორი – **ნელი გუჯეჯიანი**, ფიზიკის მასწავლებელი – **მარინე ტაკაშვილი**);
- **იფარის საჯარო სკოლა** (დირექტორი – **ციცინო ფანგანი**, ფიზიკის მასწავლებელი – **დათუნა ჯოხაძე**);
- **უშგულის საჯარო სკოლა** (დირექტორი – **ნონა რატიანი**, ფიზიკის მასწავლებელი – **ივანე ნიჟარაძე**).

კონკურსი ოთხი ტურისგან შედგებოდა: *თეორიული, ლაბორატორიული, კითხვები* და *კედლის გაზეთი*. მოეწყო თითოეული სკოლის მიერ წარმოდგენილი კედლის გაზეთების გამოფენა, გაზეთები შთამბეჭდავი იყო როგორც ვიზუალურად, ასევე შინაარსობრივად. თეორიული ტური ჩატარდა კლასების მიხედვით, ტესტირების სახით, სადაც მოსწავლეებმა კონკურენტულ გარემოში საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა და ცოდნის რეალიზაცია შეძლეს. შთამბეჭდავი იყო ლაბორატორიული ტური. თითოეულმა გუნდმა სხვადასხვა თემაზე წარმოადგინა ლაბორატორიული სამუშაოები, ვიდეო/სლაიდების სახით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სკოლების უმრავლესობას არ აქვს არანაირი ხელსაწყო მასალები. მიუხედავად ამისა, მათ თავად შექმნეს ან მოიძიეს საჭირო ხელსაწყოები და შეძლეს ტურში მონაწილეობა.

ბოლოს გაიმართა კითხვების ტური, თითო გუნდს – თითო კითხვა. მოსწავლეები საინტერესოდ მსჯელობდნენ თითოეული კითხვის გარშემო და სწორ და დასაბუთებულ პასუხებს იძლეოდნენ.

მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის, იფარის საჯარო სკოლისა და პროექტის ავტორის მიერ, დაწესებული იყო პრიზები: პირველ ადგილზე გასული გუნდისათვის – I ხარისხის დიპლომი და გარდამავალი თასი, მეორე და მესამე ადგილებზე გასული გუნდებისთვის, შესაბამისად – II ხარისხის და III ხარისხის დიპლომები.

გუნდებს, მონაწილეებსა და მოსწავლეებს, კლასების მიხედვით, თეორიულ ნაწილში საუკეთესო შედეგებისათვის – სიგელები.

საბოლოო მონაცემებით, პრიზები ასე გადანაწილდა:

პირველი ადგილი – იფარის საჯარო სკოლის გუნდი **„ინდუქცია“**;

მეორე ადგილი – ჭუბერის საჯარო სკოლის გუნდი **„გრავიტაცია“**;

მესამე ადგილი – ლატალის საჯარო სკოლის გუნდი **„მართვე“**.

კლასების მიხედვით, თეორიულ ნაწილში საუკეთესო შედეგებისათვის, დაჯილდოვდნენ: **ქრისტინა გვარლიანი** – მესტიის №2 საჯარო სკოლა, VIII კლასი; **მარიამ ანსიანი** – სოფ. ჭუბერის საჯარო სკოლა, VIII კლასი; **ბერდია პირველი** – სოფ. იფარის საჯარო სკოლა, VIII კლასი; **ანა ივეჩიანი** – სოფ. ლატალის საჯარო სკოლა, IX კლასი; **თამარ გირგვლიანი** – სოფ. ლატალის საჯარო სკოლა, IX კლასი; **ნინო კორძაია** – სოფ. იფარის საჯარო სკოლა, IX კლასი;

ლევან ჯაჭვლიანი – სოფ. ყარ-სგურიშის საჯარო სკოლა, X კლასი; **მარიამ ჯაჭვლიანი** – სოფ. მულახის საჯარო სკოლა, X კლასი; **გიორგი ფილფანი** – სოფ. ჭუბერის საჯარო სკოლა, X კლასი; **ანანო გვარლიანი** – მესტიის №2 საჯარო სკოლა, XI კლასი; **თამარ გირგვლიანი** – სოფ. ლატალის საჯარო სკოლა, XI კლასი; **გიორგი სულავა** – სოფ. იფარის საჯარო სკოლა, XI კლასი.

მონაწილეობისათვის გუნდები სიგელებით დაჯილდოვდნენ. იფარის საჯარო სკოლის დირექტორი ციცინო ფანგანი და პროექტის ავტორი დათუნა ჯოხაძე მადლობას უხდიან სტუმრებს – ქალბატონ ლალი წიკლაურს და ქალბატონ თამთა ნაცვალაძეს – მობრძანებისთვის; მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ კაპიტონ ჟორჟოლიანს – ფინანსური უზრუნველყოფისათვის; მესტიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს, ქალბატონ დარეჯან ნიგურიანს – მხარდაჭერისათვის.

ანა აბესაძე
იფარის საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი

კონფერენცია

ფართომასშტაბიანი სარეაბილიტაციო სამუშაოები ბათუმის უნივერსიტეტში

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფართომასშტაბიანი სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი დასრულდა. გარემონტდა უნივერსიტეტის ხუთსართულიანი სასწავლო კორპუსის ძირითადი ნაწილი, განახლდა ფიზიკის ლაბორატორიები, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ზოოლოგიისა და მინერალოგიის კაბინეტები, თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვა კრიმინალისტიკური ლაბორატორია, კეთილმოეწყო ტელესტუდია ჟურნალისტიკის პროფესიული პროგრამისათვის, დერეფნებში მოეწყო ე.წ. ღია სივრცეები (ბიბლიოთეკებით, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით, პლაზმური ტელევიზორებით და სხვ.), ასევე განახლდა სპორტული მოედანი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სტომატოლოგიური და ფსიქოლოგიური კლინიკებისა და გაცვლით პროგრამებში მონაწილე პროფესორებისათვის სასტუმრო ოთახების მოწყობის პროცესი.

განხორციელებულ და მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი გიორგი თავამაიშვილი გაეცნენ. ამავე დღეს, მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებთან დაკავშირებით, სამუშაო შეხვედრა გაიმართა უნივერსიტეტის ხელმძღვანელ პირებთან.

თამარ სანიკიძე: *„პრაქტიკულად, ბოლო ორი წლის განმავლობაში, ბათუმის უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის ძირითადი ნაწილი მოწესრიგებულია (იგულისხმება თვითონ შენობის აღდგენა-რეაბილიტაცია), მაგრამ სასიამოვნო სანახავი იყო, როგორ მიმდინარეობს უნივერსიტეტის ლაბორატორიებით აღჭურვა. წელს დაგეგმილია შენობის რეაბილიტაციის დასრულება, რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი ლაბორატორიის გამართვა. ამით დასრულდება ის ძირითადი სამუშაოები, რაც, ვფიქრობ, თავისთავად უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვას.“*

მერაბ ხალვაში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი: *„დღეს იმ პროექტებს გავეცანით, რომლებიც უკვე მიმდინარეობს და იმ პროექტებსაც, რომლებიც წელს განხორციელდება, ეს არის: საინფორმაციო ტექნოლოგიების ლაბორატორია, ფიზიკის განახლებული ლაბორატორია, ასევე, ბიოლოგიის, ზოოლოგიის, მინერალოგიის ოთახები, კრიმინალისტიკური ლაბორატორია და სხვ. ეს პროექტები უნივერსიტეტის, ასევე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და აჭარის ადგილობრივი მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.“*

კონფერენცია

ჩემი მომავალი ბიზნესი

26 აპრილს, საქართველოს პარლამენტში გაიმართა სკოლის მოსწავლეების კონფერენცია, დევიზით: „ჩემი მომავალი ბიზნესი“, რომლის ინიციატორი და ხელმძღვანელი იყო ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი **ვაჟა კაკაბაძე**. კონფერენციას ესწრებოდნენ პარლამენტის განათლებისა და კულტურის, საფინანსო-საბიუჯეტო, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის და აგრარულ საკითხთა კომიტეტების წევრები, ასევე: ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, თსუ-ს პროფესორი **რამაზ აბესაძე**, ეკონომიკის აკადემიის აკადემიკოსი **რევაზ ლორთქიფანიძე**, საქართველოს კონსტიტუციური სამართლიანობის ლიგის თავმჯდომარე **ნატალია ზაქარეიშვილი**, ეკონომიკის დოქტორი **ნანა მაისურაძე**, დიდუბე-ჩუღურეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი **ლელა ჯაში**, სხვადასხვა სკოლის დირექტორები, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები და სხვადასხვა პროფესიის ადამიანები.

კონფერენცია მაღალ დონეზე შეაფასეს: აგრარული კომიტეტის წევრმა, **ირინე ცუხიშვილმა**, მედიცინის დოქტორმა **ანა ვერულაშვილმა**, პროფესორმა **დავით ჩლაიძემ**, თსუ-ს პროფესორმა **ვახტანგ ჭარაიამ**, სკოლა „ოპიზას“ დირექტორმა **გოჩა ურუშაძემ**. განსაკუთრებით აღინიშნა თბილისის 52-ე საჯარო სკოლის მოსწავლის, **გიორგი მექვაბიშვილის**, თბილისის 166-ე საჯარო სკოლის მოსწავლეების: **მარიამ გოგებაშვილის**, **ელენე სისორდიას**, **თამთა მეგრელიშვილის**, **მარიამ კვესელაძის**, **თამარ მიხელიძის** ბიზნესის გეგმები. საგულისხმო იყო თსუ-ს პროფესორების – რამაზ აბესაძის და ვახტანგ ჭარაიას შეფასება, რომელთა აზრით, წარმოდგენილი ბიზნესგეგმები იმდენად სრულყოფილია, რომ სცილდება არა მარტო სკოლის მოსწავლეების დონეს, არამედ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების დონესაც. კონფერენციის ხელმძღვანელმა, ვაჟა კაკაბაძემ განათლების აუცილებლობის შესახებ ისაუბრა და აღნიშნა: *„თუ გვინდა გაუნათლებლობის მორევს გადავურჩეთ, ყველამ დაუღალავად უნდა ვიშრომოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, უკუნეთ სიბნელეში აღმოვჩნდებით საიდანაც თავს ვერასოდეს დავაღწევთ. გაუნათლებლობის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა გახდეს ეროვნული მოძრაობა, ეს არ უნდა იყოს მარტო ერთი სამინისტროს საქმე. ამას ცალკეული ორგანიზაცია ვერ მოახერხებს. გავერთიანდეთ და დავამარცხოთ ეს საშინელი ბოროტება, რომელსაც გაუნათლებლობა ჰქვია“.*

მარიკა ბენიძე

ინფორმაცია

ბათუმის უნივერსიტეტში ინოვაციების ლაბორატორია გაიხსნა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ აჭარაში ვიზიტის ფარგლებში, რამდენიმე სასწავლო დაწესებულება მოინახულა. მათ შორის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის რეაბილიტირებული სასწავლო კორპუსი, ახლადშექმნილი ერთიანი საუნივერსიტეტო საგამოცდო ცენტრი და სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია – ფაბლაბი, სადაც სტუდენტების მიერ დამზადებული პროდუქცია დაათვალიერა.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია – ფაბლაბი ულტრათანამედროვე აპარატურითაა აღჭურვილი. 3D პრინტერები, ლაზერული მჭრელი და სხვა პროგრამირებადი დაზგა-დანადგარები ფიზიკურ პირებსა და კომპანიებს სხვადასხვა ინოვაციური პროდუქტის ტესტირების საშუალებას აძლევს.

ფაბლაბის ბაზაზე შესაძლებელია სხვადასხვა პროდუქტის პროტოტიპირება და მათი მცირე რაოდენობით წარმოება. ინოვაციების ლაბორატორიაში ნებისმიერ სტუდენტს აქვს საშუალება, პრაქტიკულ და ბაზარზე ორიენტირებულ ცოდნის მიღებასთან ერთად, გაეცნოს თანამედროვე ტექნოლოგიურ მიღწევებს. ფაბლაბში ისინი, ბაზრის ლიდერი კომპანიების მიერ გამოყოფილ მენტორებთან ერთად, პროექტებზე მუშაობენ. გარდა ამისა, მათ შესაძლებლობა აქვთ, შეისწავლონ და განავითარონ პროექტები ახალი ტექნოლოგიური მოწყობილობებისათვის.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეს უნიკალური სივრცე, გარდა სტუდენტებისა და პროფესორებისა, ხელმისაწვდომია ნებისმიერი მოქალაქისთვის, ვისაც საინტერესო იდეის განხორციელებისა და ბიზნესის ჩამოყალიბების სურვილი აქვს.

თამარ სანიკიძე: *„ამ ახალი ბაზის გამოყენებით, ძალიან ბევრი სტუდენტი თავის იდეებსა და ნოვატორულ მიდგომებს უკვე ახორციელებს. მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებაში ასევე მოეწყო საგამოცდო ცენტრები, რომლებიც გამოცდის ჩატარების სრულფასოვან საშუალებას იძლევა, ყოველმხრივ ადაპტირებულია. ვფიქრობ, შემდეგი სასწავლო წელი ნამდვილად ბევრად უფრო კომფორტული იქნება და სამუშაო პირობებიც უკეთესი, რაშიც უნივერსიტეტს, რა თქმა უნდა, სახელმწიფო დაეხმარა. ძირითადად, ეს იყო ეკონომიკის სამინისტროს დახმარება და თვითონ ბათუმის უნივერსიტეტის რესურსები. ჩვენი შემდეგი ნაბიჯი იქნება ერთ-ერთი კვლევითი დაწესებულების აღჭურვა, რომლის რეაბილიტაციაც ასევე განხორციელდა. დიდი იმედი გვაქვს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის ეს პროცესიც დასრულდება და რამდენიმე მძლავრი, ახალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გვექნება.“*

მერაბ ხალვაში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი: *„ინოვაციების სამრეწველო ლაბორატორია გასული წლის დეკემბერში ამოქმედდა საქართველოს ეკონომიკისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების მხარდაჭრით. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი უნივერსიტეტისთვის, განსაკუთრებით ინჟინერიის, აგრარული და საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულების პროგრამებისათვის, რადგან აქ სტუდენტს საშუალება ეძლევა, მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკულად განახორციელოს. ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს კეთებით სწავლასთან – სტუდენტს საშუალება ეძლევა სამუშაო გამოცდილება მიიღოს ადგილზევე, რაც მას უკვე გაუადვილებს ადაპტირებას დამსაქმებელთან და ზოგადად შრომის ბაზართან.“*

მამუკა ჩოლეიშვილი, სტუდენტი: *„ჩვენთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ჩვენი იდეების განხორციელება შეგვიძლია თანამედროვე ტექნოლოგიებით. ძალიან ბევრი შესაძლებლობა მოგვცა ამ აპარატებმა, უკვე ბევრი იდეა განხორციელდა და გავიდა ბაზარზე, სტუდენტებს საკუთარი შემოსავალი აქვთ ფაბლაბის დახმარებით.“*

ინფორმაცია

22 აპრილი – დედამიწის დაცვის დღე

დედამიწის დაცვის დღის აღნიშვნის ტრადიცია დაიბადა შეერთებულ შტატებში, 1970 წლის 22 აპრილს, როცა გარემოს დამცველი სენატორის, გეილორდ ნილსონის მოწოდებით, 20 მილიონი ამერიკელი გამოვიდა დედამიწის დასაცავად.

1990 წელს კი, გაეროს გენერალური ასამბლეის 63-ე სესიაზე, 22 აპრილი საერთაშორისო აქცია გახდა და როგორც ვიცით, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური გარემოს დაცვითი საზოგადოებრივი ღონისძიებაა, მასში, დედამიწაზე გარემოს გაუმჯობესების მიზნით, 190-ზე მეტი ქვეყნის 20000-მდე ორგანიზაცია და მილიონობით მოხალისე მონაწილეობს.

საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ინიციატივით, საქართველოში, ეს დღე 1990 წელს აღინიშნა და ტრადიციად იქცა. ამ დღეს ბევრი მნიშვნელოვანი საქმე კეთდება ბუნების დაცვისათვის.

საჩხერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში (დირექტორი – **ბერიკა დეკანოიძე**) ორი ათეული წელია მუშაობს ეკოლოგიის შემსწავლელი წრე (ხელმძღვანელი – უფროსი სპეციალისტი მასობრივ და საორგანიზაციო საქმეში და ეკოლოგიის წრის ხელმძღვანელი **ციალა ცაბაძე**). ამ დროის განმავლობაში წრეში ბევრი საინტერესო საქმეა გაკეთებული – რესპუბლიკური მნიშვნელობის კონფერენცია, ბუნებაში კოლექტიური გასვლები დანაგვიანებული ადგილების გასუფთავებისა და ხე-მცენარეების დარგვის მიზნით, ექსკურსიები, სხვადასხვა ეკოლოგიურ ღონისძიებებში მონაწილეობა რაიონში და რეგიონის მაშტაბით, სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში მონაწილეობა, კონფერენციები რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში და სხვ.

მიმდინარე წლის 22 აპრილს, ეკოლოგიის შემსწავლელი წრის წევრთა ინიციატივით, ნორჩ ბიოლოგთა მუნიციპალური გაერთიანებისა (ხელმძღვანელი – მთავარი სპეციალისტი, პროფესორი **მარინე ადამია**) და სამკურნალო მცენარეების შემსწავლელი წრის (ხელმძღვანელი – პედაგოგი **შორენა კურტანიძე**) წევრებთან ერთად, ჩატარდა კონფერენცია თემაზე „დედამიწა ჩემი სახლია“. კონფერენცია გახსნა ციალა ცაბაძემ. საკონფერენციო თემაზე ვრცლად ისაუბრა ეკოლოგიის შემსწავლელი წრის წევრმა **მაკა მაჭარაშვილმა**. თემის განხილვაში მონაწილეობდნენ: **თამუნა მწყერაშვილი, ლიკა ბურძენიძე, მერი მესხი, თემურ ჭიტაძე, ნინო მოდებაძე, მარიამ სივსივაძე, გიორგი მაისურაძე, ანი მაკასარაშვილი, ბექა ზაბახიძე, გვანცა სადუნიშვილი, ანი ზაბახიძე, თეა ქველაძე**, ასევე მოწვეული სტუმრები: სოფელ არგვეთის საჯარო სკოლის ეკოკლუბ „კვალის“ (ხელმძღვანელი – პედაგოგი **ინგა მოსიაშვილი**) წევრები – **ანა შაორშაძე, ლაშა ყიფშიძე, საბა გულიაშვილი**.

გამომსვლელებმა გამოთქვეს საკუთარი მოსაზრებები, თუ რატომ არის დედამიწა მათი სახლი.

საინტერესო იყო მსჯელობა დედამიწის დროებაზე, ლამაზ ცისარტყელაზე, მოუსვენარ დედამიწაზე, სტიქიებზე, ფაბრიკა-ქარხნების მომწამლავ კვამლზე, მილიონობით ავტომანქანებიდან გამონადენ შავ დაუმუშავებელ გაზზე (მოსწავლეები ითხოვდნენ გამწმენდი საშუალების გამოყენებას), ასევე, ნადირ-ფრინველის ნებადაურთველ ნადირობაზე, საერთოდ წყლების, სასმელი წყლის დაცვაზე (ახალი წყაროების აღმოჩენის იდეაც კი გაჩნდა).

ისაუბრეს სამკურნალო მცენარეების გამოკვლევისა და დაცვის, ამ მცენარეების მოპოვების გაკონტროლების აუცილებლობაზე, მეტი დამაჯერებლობისთვის ამ ყველაფერს კონფერენციის მონაწილენი ეკრანზე უჩვენებდნენ. დასასრულს მათ მიიღეს მოწოდების ტექსტი დედამიწის დაცვის შესახებ.

განსაკუთრებით აქტიურობდნენ მხატვრული კითხვის წრის წევრები ფოლკლორის უფროსი სპეციალისტის, მხატვრული კითხვის წრის ხელმძღვანელის, **ნანი ენუქიძის** დახმარებით, აგრეთვე, წითელი ჯვრის საზოგადოების წევრები, **ქეთევან მაჭარაშვილთან** ერთად, საჩხერის ახალგაზრდული საკრებულოს თავჯდომარე **ქეთევან ბერიძე**, გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე **მამუკა ომიაძე**, პედაგოგები – **ხათუნა აბრამიშვილი, ზურაბ გელაშვილი**.

კონფერენციის დასასრულს, მონაწილეებმა ქუჩაში მოაწყვეს მანიფესტაცია ლოზუნგით – „დედამიწა ჩემი სახლია“ და ჩადგნენ ცოცხალ ჯაჭვში. მრავლად იყო ლოზუნგები, რომლებიც გადაიცემოდა ფონოგრამით: „გადავარჩინოთ დედამიწა“, „დედამიწა საფრთხეშია“, „დარგე და გარგებს“, „დავიცვათ ეკოსისტემა“, „გახსოვდეს წყალი ჩვენი არსებობის საშუალებაა, გაუფრთხილდით მას“, „შევინარჩუნოთ ბუნების სიმდიდრე“, „გამოვიყენოთ მზის და ქარის ენერგია“, „ვიყოთ ბუნების აქტიური ქომაგები“, „ნუ ვატკენთ დედამიწას გულს“და სხვ.

მანიფესტაციის მონაწილეებს მოწოდებით მიმართა **ბექა ზაბახიძემ**, საკუთარი ლექსი უძღვნა დედამიწის დაცვის დღეს ახალგაზრდა პოეტმა, ოთხი შვილის დედამ **ნათია ლომიძემ**. რიგითმა მოქალაქეებმა თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს და საზოგადოებას დედამიწის დაცვის საქმეში გააქტიურებისკენ მოუწოდეს. ჩვენი მიზანიც ეს იყო, საზოგადოებამდე მიგვეტანა ჩვენი გზავნილი – *ჩვენი ლამაზი პლანეტა – დედა დედამიწა გასაფრთხილებელია და იგი ჩვენი სახლია.*

ნანული ენუქიძე
ფოლკლორის უფროსი სპეციალისტი,
მხატვრული კითხვის წრის
ხელმძღვანელი

SRNS–ELsevier

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და „ელსევიერის“ საგამომცემლო სახლის ორგანიზებით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, მეცნიერებისა და განვითარების ფორუმი და სემინარი ჩატარდა.

ფორუმზე სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგიაზე ისაუბრეს: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ, მინისტრის მოადგილემ გიორგი შარვაშიძემ, ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა მარინე ჩიტაშვილმა და Elsevier-ის წარმომადგენლებმა – ლუსი ბუდოვამ და კრიშტოფ ჟიმანსკიმ. სემინარზე ინსტრუქტორებმა „ელსევიერის“ ბაზაში მუშაობის შესაძლებლობების დემონსტრირება მოახდინეს.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი კომპანია „ელსევიერთან“ 2014 წლიდან თანამშრომლობს, რის შედეგადაც საქართველოს მეცნიერებს „ელსევიერის“ უმსხვილესი საერთაშორისო სამეცნიერო ბაზით უფასოდ სარგებლობის შესაძლებლობა აქვთ. მეცნიერებისთვის ელექტრონულად ხელმისაწვდომი გახდა მთელ მსოფლიოში გამოქვეყნებული სამეცნიერო ლიტერატურა, არა მხოლოდ მოკლე ანოტაციების, არამედ შრომების სრული ვერსიების დონეზეც. ასევე, შესაძლებელია ციტირებისა და სხვა ბიბლომეტრული ინფორმაციის მოპოვება. გარდა ამისა, განათლების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, სამი წლის განმავლობაში, ორი ქართული სამეცნიერო ელექტრონული ჟურნალის ინფრასტრუქტურულ განვითარებასა და „ელსევიერის“ ბაზაში განთავსებას დააფინანსებს.

თამარ სანიკიძე: *„მესამე წელია, რაც ამ გამომცემლობასთან ვთანამშრომლობთ. ეს იმისთვის გაკეთდა, რომ სამეცნიერო ბაზებთან წვდომა ჰქონოდა, რაც შეიძლება მეტ მეცნიერსა და სამეცნიერო დაწესებულებას. დღეს გვაქვს იმის საშუალება, რომ სამი წლის ნამუშევარი შევაჯამოთ, ვნახოთ და გავზომოთ რამდენად აქტიური იყო საქართველო და როგორ მოჩანს სამეცნიერო ბაზებში ეს აქტივობა. მნიშვნელოვანია, რომ 2015 წლიდან ჩვენ დავიწყეთ ამ ბაზებში ქართული რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალების განთავსება – მათემატიკის ინისტიტუტისა და აგრარული უნივერსიტეტის – საკმაოდ წარმატებულად. დღეს ასევე გვეძლევა საშუალება, მომდევნო სამუშო პაკეტზე ვილაპარაკოთ და ვფიქრობ, ასეთი გააქტიურებით და მცდელობით, რომ მეცნიერება გავხადოთ ინტერნაციონალური, მხოლოდ და მხოლოდ სისტემის განვითარებას შევუწყობთ ხელს. იმედს გამოვთქვამ, რომ „ელსევიერთან“ დაწყებული თანამშრომლობა ხელს შეუწყობს როგორც ქართული მეცნიერების ხარისხის განვითარებას, ასევე მის დაახლოებას საერთაშორისო სტანდარტებთან და ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციას.“*

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ასევე ისაუბრა, რამდენიმე დღის წინ, ბრიუსელში ხელმოწერილ ხელშეკრულებაზე ევროკომისიის ჩარჩო პროგრამა Horizon2020-თან, საქართველოს ასოცირებული წევრის სტატუსით თანამშრომლობის შესახებ. პროგრამის ბიუჯეტი, 2014-2020 წლებში, 80 მილიარდ ევროს შეადგენს. აღნიშნული ხელშეკრულება საშუალებას მისცემს ქართველ მეცნიერებს, აქტიურად იყვნენ ჩართული საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით სივრცეში და მონაწილეობა მიიღონ ევროკავშირის კვლევითი პროექტების კონსორციუმებში, რაც კარგი წინაპირობაა ქართული მეცნიერების განვითარებისთვის.

ლუსი ბუდოვა, „ელსევიერის“ რეგიონული მენეჯერი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში: *„ჩვენ ჩამოვედით, რათა თანამშრომლობა გავაგრძელოთ ქართულ მხარესთან. ეს თანამშრომლობის მეორე წელია. ჩვენი ამოცანაა, ხელი შევუწყოთ ქართველ მკვლევრებს, ჩაერთონ მსოფლიო სამეცნიერო ბაზაში, რაც მათ საშუალებას მისცემს, გაავრცელონ თავიანთი ცოდნა-გამოცდილება. გარდა ამისა, ეს გლობალური ქსელი მეცნიერებს კვლევების წარმოებასა და თანამედროვე მიღწევების გაცნობაში დაეხმარება. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, გახდეს მეცნიერების თანამეგობრობის წევრი.“*

ინკლუზიური განათლება

განათლების სისტემის ვალდებულება

ინკლუზიური განათლება, განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოზარდთა რესოციალიზაცია, სკოლაში თუ საზოგადოებაში, ჯერაც დიდი პრობლემაა ქართული რეალობისთვის. არც ისე დიდი ხნის წინ ყოვლად შეუწყნარებელი ფაქტების მომსწრენიც გავხდით, როცა ამ ტიპის მოზარდებს დაუმტვრიეს სკვერში დამონტაჟებული ინტეგრირებული სათამაშოები, არ მისცეს სკოლაში შესვლის, სწავლის უფლება და სხვა... სამწუხაროდ, მსგავსი ფაქტები ლამის ყოველდღიურად ხდება, თუმცა მათი უმეტესობა ფართო საზოგადოებისთვის უცნობი რჩება.

ამ ტიპის ბავშვებისთვის კიდევ უფრო დიდი პრობლემაა სპორტის გაკვეთილები, რადგან უმრავლესი მათგანი ისედაც მოკლებულია ფიზიკურ აქტივობას. ამ კუთხით ქვეყანაში ჯერ კიდევ ძალიან ცოტა კეთდება, თუმცა ყინული ნელ-ნელა მაინც იძვრის. ერთი ასეთი ნაბიჯია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შესრულებული ორწლიანი საგანმანათლებლო პროექტი, რომლის ფარგლებშიც გარკვეულ საპილოტე სკოლებს გაუწიეს პრაქტიკული დახმარება და გამოსცეს სპეციალური წიგნი მასწავლებელთა სახელმძღვანელოდ. პროექტი სემინარით დასრულდა, სადაც კიდევ ერთხელ შეაჯამეს გაწეული მუშაობა და სამომავლოდ გასაკეთებელზეც ისაუბრეს.

გვესაუბრება ამ პროექტის ხელმძღვანელი, ინკლუზიური განათლების კოორდინატორი (ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი) თათია პაჭკორია.

– რას ემსახურებოდა სემინარი და თავად პროექტის შესახებაც რომ გვესაუბროთ...

– 2013-14 წლებში, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) და USAID-ის დახმარებით, გამოვეცით წიგნი, რომელიც ამ სემინარზე დავარიგეთ. წიგნი ჩვენი პროექტის შედეგია, რომელიც ორი წელიწადი გრძელდებოდა და უკვე დასრულდა. ეს გახლდათ სკოლაში ადაპტური სპორტის პრინციპების შემუშავება და კონკრეტული ბავშვებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება სპორტში, ფიზიკურ აღზრდაში. მასში ჩავრთეთ 128 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, სპორტის გაკვეთილებში თავიანთი ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით და მათთვის შემუშავებული სავარჯიშოებით. ეს იყო ჩვენი პროექტის შედეგი, მასზე დაფუძნებით კი შეიქმნა ეს წიგნი სათაურით – *„სპორტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის“*. აქ აღწერილია, როგორ, რა პრინციპებით უნდა მოხდეს მათი ჩართვა სპორტში, როგორ შედგეს მათთვის ინდივიდუალური მიდგომები, როგორ დაიგეგმოს კონკრეტული მათგანისთვის სპორტულ-ფიზიკური აქტივობები; როგორ ჩაერთონ ამ ყველაფერში როგორც მენტალური დარღვევების მქონე ბავშვები, რომლებსაც მხოლოდ დირექტივები და ახსნა-განმარტება ესაჭიროებათ ადაპტაციისთვის, ისე – ფიზიკური დარღვევის მქონე მოსწავლეები.

– რამდენ სკოლაში განხორციელდა პროექტი და რა პრინციპით შეარჩიეთ საპილოტე სკოლები?

– წინასწარ შევისწავლეთ სკოლები, სადაც უფრო მეტნი იყვნენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები. საბოლოოდ არჩევანი 10 სკოლაზე შევაჩერეთ. მოსწავლეთა შორის იყვნენ როგორც მენტალური, ასევე ფიზიკური დარღვევების მქონე ბავშვები. კონტინგენტი თითქმის ყველა სპექტრს მოიცავდა, მაგრამ ცერებრალურ დამბლაზე ცალკე იყო სატრენინგო მოდული, რადგან ეს უფრო ხშირი შემთხვევაა და დავატრენინგეთ მასწავლებლები. იქნებ მათ ყველაფერი ვერ ვასწავლეთ, მაგრამ ძირითადი პრინციპები კი გავაცანით, რომელი დარღვევისას როგორ უნდა მოიქცნენ.

– არის შანსი, რომ ეს პროექტი ისევ გაგრძელდეს?

– ის უკვე დასრულდა და მისი მდგრადობა ამ წიგნის გამოცემაა, რომლის გამოყენებაც ყველა სკოლას შეუძლია. ამ ეტაპზე პროექტის გაგრძელება, ჯერჯერობით, არ იგეგმება. ამ პროექტმა შეიმუშავა ის დირექტივები და ჩვევები, რომლითაც სკოლებში უნდა იხელმძღვანელონ. წიგნში 56 თამაშია აღწერილი და თან მითითებულია, რომელი მათგანი რა დარღვევის დროს უნდა გამოვიყენოთ ან რა უნარ-ჩვევებს ავითარებს. იქვეა თავი მასწავლებლის როლზე, დანიშნულებასა და სასწავლო სტრატეგიების დაგეგმვაზე, სასწავლო გეგმის შედგენასა და ინდივიდუალურ მიდგომებზე. სემინარზე მასწავლებლებს დავურიგეთ წიგნები და კიდევ ერთხელ შევახსენეთ რომ ეს პრინციპები გასათვალისწინებელია არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს საკითხი სერტიფიცირების კითხვარშია შეტანილი, არამედ იმიტომაც, რომ მართებულად დაგეგმონ გაკვეთილი სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის.



– რა მეთოდები შეიძლება გამოიყენონ ასეთ მოზარდებთან ურთიერთობაში, საერთაშორისო გამოცდილება იცნობს ერთიან მოდელს თუ ყველაფერი ინდივიდუალურია?

– სპორტის დარბაზი არ უნდა იყოს დაკეტილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისთვის იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ყველას თანაბარი უფლება აქვს, მიიღოს განათლება და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ყველა ერთნაირად უნდა იყოს ჩართული. მოსწავლის ფიზიკური შესაძლებლობა საშუალებას თუ არ გვაძლევს, აქტიურად იყოს ჩართული სპორტში, მისთვის უნდა დავგეგმოთ ინდივიდუალური ვარჯიშები, ოღონდ, ცხადია, მთელ კლასთან ერთად. ან, შეგვიძლია, ისინი დავაკავოთ სხვადასხვა დარგში. თუ ძალიან მძიმე ფიზიკური დარღვევაა, მათი ჩართვა თავისუფლად შეიძლება სხვა გზით. მაგალითად, იყვნენ მწვრთნელები, მსაჯები, კონსულტანტები ან ჩაერთონ ამა თუ იმ თამაშში იმ შესაძლებლობის ფარგლებში, რაც მათ აქვთ – შეიძლება სულ რამდენიმე წუთით ან რამე სხვა მოკლევადიანი ფუნქცია იკისრონ. მათი სოციალიზაციისთვის მთავარია, არ გაირიყონ სპორტის გაკვეთილებიდან. შშმ მოსწავლეში მინიმალურ ფიზიკურ შესაძლებლობებს მაინც თუ ხედავთ, ჩვენი წიგნი ძალიან დაგეხმარებათ მათ შესაძლებლობებზე მორგებული სპორტული აქტივობების დაგეგმვაში.

ერთი სიტყვით, მათთან მუშაობა მთლიანად ინდივიდუალურია, რაც მათივე შესაძლებლობებიდან გამომდინარეობს. ამის მიხედვით იგეგმება სპორტული აქტივობები. არის დარღვევები, რომლისთვისაც კატეგორიულად არ შეიძლება გარკვეული ტიპის აქტივობები. უნდა ვიცოდეთ, ვისთვის რა სახეობის ვარჯიშია დასაშვები – ამას თუ სწორად გავთვლით, ძალიან დიდ საქმეს გავაკეთებთ მათი ჩართვით სასკოლო სპორტულ აქტივობებში, მრავალმხრივი განვითარებისა და სოციალური ინტეგრაციისთვის. ისინი ხომ ყველაზე გულდაწყვეტილები მაშინ არიან, როცა სპორტის გაკვეთილებზე გარიყული რჩებიან. შესაბამისად, ყველაზე მეტად ამ გაკვეთილებში ჩაბმა უხარიათ.

– რამდენად არიან მზად მასწავლებლები ამ კატეგორიის მოსწავლეებთან სამუშაოდ, მათთვის გადამზადების სპეციალური კურსი თუ ტარდება?

– ამ ეტაპზე სწორედ ეს წიგნია ის რესურსი, რომელიც პედაგოგებმა უნდა გამოიყენონ. იქ ძალიან მკაფიოდაა აღწერილი ის საშუალებები, რაც ამ კონტინგენტთან მუშაობაში დაეხმარებათ. მოცემულ ეტაპზე მათთვის ეს სემინარი და წიგნებით უზრუნველყოფაა პრაქტიკული დახმარება. ფაქტობრივად, წიგნში მზა მასალაა მათთვის – როგორც გითხარით 56 ვარჯიშია განხილული და ძალიან დეტალურადაა აღწერილი თითოეული მათგანი; იქ განხილულია პრინციპი, როგორ ჩაერთოს ბავშვი ამ აქტივობებში, დანარჩენი კი ინდივიდუალურ მიდგომაზეა დამოკიდებული.

– სკოლებში არსებული სპორტული ბაზები რამდენადაა ადაპტირებული სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის?

– ზემოხსენებული პროექტის ფარგლებში, 10 სკოლაში შევედით, ვუყიდეთ ადაპტირებული სპორტული ინვენტარი. ამათ გარდა კი სხვაგან არსად შემხვედრია მსგავსი სპეციალური ინვენტარი. თუმცა, სამწუხაროდ, სკოლებისთვის ჩვეულებრივი სპორტული ინვენტარიც კი დიდი დეფიციტია. ამაზე ბევრი ითქვა და იმედია, ერთხელ და სამუდამოდ მოევლება.

– თუ გაქვთ ინფორმაცია, ქვეყნის მასშტაბით, რამდენ სკოლაშია ამგვარი სპეციალური მიდგომა?

– ინკლუზიური განათლება, ზოგადად, ყველა სკოლის ვალდებულებაა და ყველგან არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები. ეს არის ჩვეულებრივი, კანონში შესული და აღიარებული ვალდებულება. ინკლუზიური განათლება ჩვენი განათლების სისტემის განუყოფელი ნაწილია.

– თუმცა, ამის მიუხედავად, ბოლო პერიოდში მათი საგანმანათლებლო თუ ზოგადად უფლებების დარღვევის არაერთი შეუწყნარებელი ფაქტი მოხდა: აუჭედეს სკოლის კარები, გადაუკეტეს სკოლისკენ მიმავალი გზა, სკვერში დაუმტვრიეს ადაპტირებული გასართობი ინვენტარი... რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ საზოგადოება უფრო შემწყნარებელი გახდეს ასეთი ბავშვების მიმართ?

– მშობლებთან მეტი მუშაობაა საჭირო. ამ მხრივ სკოლას ბევრი საქმე აქვს, რათა ნათლად და მკაფიოდ აუხსნან ინკლუზიური განათლების პრინციპები. ამ საქმეში დახმარებისთვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მუდამ მზადაა – ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ვითარებაში წავიდეს და დაეხმაროს სკოლას საზოგადოებრივი აზრის ამაღლებაში. დიდი მნიშვნელობა აქვს მასმედიას, ტელევიზიას, რათა ნათლად გავიგოთ და აღვიქვათ, რომ ინკლუზიური განათლება ჩვენი განათლების სისტემის ნაწილია და რომ ამას ვერაფერი შეცვლის და არავის აქვს უფლება, მოსწავლეები რაიმე ნიშნის მიხედვით დაყოს. ჩვენი განათლების სისტემისთვის, ჩვენი კონსტიტუციისთვის, ბავშვთა კონვენციისთვის ყველა მოზარდი ერთია. ვინც სხვანაირად ფიქრობს, ეწინააღმდეგება ბავშვთა უფლებებსაც და კანონსაც.

ესაუბრა ირაკლი თავაძე

მიმდინარეობს ხელმოწერა

მასწავლებლის ბიბლიოთეკა



კუბლიკაცია მოიცავს დაწყებითი კლასების მასწავლებლებისთვის საინტერესო საკითხებს. წიგნში მიმოხილულია შემდეგი თემები: ადრეული განათლების მნიშვნელობა გავშვის შემდგომი განვითარებისთვის, სასკოლო მზაობის ცნება და დახმარების სტრატეგიები სკოლასთან ადაპტაციისთვის, სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული რეკომენდაციები, სწავლის მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, სასწავლო მიზნების ფორმულირება, კრიტიკული აზროვნების, მათემატიკური უნარების, მეტყველების განვითარება და კონკრეტული რეკომენდაციები ზეპირმეტყველებისა და წერითი დავალებებისათვის, კითხვის მნიშვნელობა და კითხვის უნარის სპეციფიკური დარღვევა-დისლექსია, ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და რეკომენდაციები მოძრავი თამაშებისთვის, განმავითარებელი შეფასების საშუალებები, მშობლებთან თანამშრომლობა, საკლასო ოთახის მოწყობის სპეციფიკა, კლასის მართვის სტრატეგიები.

ფასი – 7,30 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
4 ლარი

თემატური პლაკატები

დაწყებითი კლასებისთვის

(42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. შინაური ცხოველები და ფრინველები
8. ჰიგიენის ნივთები
9. საოჯახო ნივთები
10. ტრანსპორტი
11. ზღვის ბინადრები
12. ტანსაცმელი
13. ხილი
14. ბოსტნეული
15. ჩემი სხეული
16. ფორმები
17. რიცხვები
18. რის შვილს რა ჰქვია
19. მწერები
20. ამინდი
21. მცენარეები
22. საპირისპირო ცნებები
23. ქალაქში
24. სოფელში
25. სპორტის სახეობები
26. ზღაპრის გმირები
27. ჩემი საქართველო
28. ქართული ანბანი
29. ინგლისური ანბანი
30. რომელი საათია

ფასი – 2.90 ლარი

მაღალი კლასებისთვის

(59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ზღვის დინებები
11. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
12. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
13. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ფასი – 4 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი



წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა
წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 12 ლარი



სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

10 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

ავტომობილი
სამშრალი
უდაბნო
გამოგონებები
განძის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ძველი ეგვიპტე
ევროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ახსნილი და აუხსნელი
ფენომენები
კოშკები და ცათამბჯენები
უძველესი ადამიანები
მათემატიკა
ძველი რომი
ძველი საბერძნეთი



რა არის რა

აქცია

მთავაზობთ 10 ტომს ენციკლოპედიების სერიიდან „რა არის რა“ სპეციალურ ფასად.

თითო ტომს, 12 ლარის ნაცვლად, 9 ლარად მიიღებს.

ამინდი



არქიტექტურა

კრიმინალისტიკა

ჯანსაღი კვება



მთები

ოლიმპიური თამაშები



მეკობრეები



ქიმია



ხალხთა დიდი გადასახლება

მეცნიერებები

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ყურადღება! ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი

მწერალთა პორტრეტები

(34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით ალმაშენებელი

4 ლარი

რეპროდუქციები

1. **ჰორაციუსთა ფიცი,** ჟაკ-ლუი დავიდი
2. **მწყემსთა თაყვანისცემა,** დომენიკო გირლანდაიო
3. **ადელ გლოს-ბაუერის პორტრეტი,** გუსტავ კლიმტი
4. **მენინები,** დიეგო ველასკესი
5. **დელფოსელი სიბილა,** მიქელანჯელო
6. **მხატვრის ბაღი,** კლოდ მონე
7. **უკლები შვილის დაბრუნება,** რემბრანდტი
8. **საძანელა,** ოგიუსტ რენუარი
9. **საკვირაო გასეირნება გრან ჟატის კუნძულზე,** ჟორჟ სიორა

6.5 ლარი

მსოფლიო კლასიკოსები

მკვდარი სახლის ჩანაწერები, თეოდორე დოსტოევსკი
ცოლთა სკოლა, ანდრე ჟიდი
გზა ელიტისკენ, ჯონ გრეინი
რჩეული მოთხრობები, ნიკოლოზ გოგოლი
ტალღებზე მორბენალი, ალექსანდრე გრინი
ტკბობა, გაბრიელე დანუნციო
დედაჩემი, ალბერ კამუ
კავკასია, ალექსანდრე დიუმა
დონ კიხოტის დაბრუნება, გილბერტ კით ჩესტერტონი
დროის ინსტიტუტი, აჰმედ ჰამდი ტანტინარი
ეფი ბრისტი, თეოდორ ფონტანე
ილელი ვენერა, პროსპერ მერიმე
კავკასიური მოთხრობები, ლევ ტოლსტოი
კვარტერონი, მაინ რიდი
ლორდ ჯიმი, ჯოზეფ კონრადი
მადამ ბოვარი, გუსტავ ფლობერი
სპარსული წერილები, შარლ ლუი დე მონტესკიე
მუუთმენლობა გულისა, შტეფან ცვაიგი
მოწყენილობა, ალბერტო მორავია
ორი რომანი, მიგელ დელიბესი
პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, ვიქტორ ჰიუგო
მოთხრობები, ალექსანდრე პუშკინი
რჩეული მოთხრობები, ჯონ გოლზუორთი
სატანის ელექსირები, ერნსტ ჰოფმანი
საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან, მარგერიტ დიურასი
ძალთა ბედნიერება, ემილ ზოლა
ღამეული გართობა, რაფაელ საბატინი
წითელი და შავი, სტენდალი
ძრელი საბურველი, სომერსეტ მოემი
ჯაშუში, ჯეიმზ კუპერი
ლიხტენშტაინი, ვილჰელმ ჰაუფი
ჰუსარი სახურავზე, ჟან ჟიონო

თითოეულის ფასი – 15 ლარი

„მასწავლებელი – მეგზური ევროპისკენ“

ლალი ჯელაძე

ევროპის დღეების ფარგლებში, ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით, მასწავლებლის სახლში 2-დღიანი კონფერენცია „მასწავლებელი – მეგზური ევროპისკენ“ ჩატარდა. პროექტი 2014 წელს შეიქმნა და ევროპული ღირებულებების პოპულარიზაციისა და ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში დანერგვის მიზნით სემინარებსა და კონკურსებს ახორციელებს.

კონფერენცია საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში **დავით ბაქრაძემ**, ესტონეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში **პრიიტ ტურკმა**, ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობის დირექტორმა საქართველოში **ია თიკანაძემ**, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ **თამაზ მარსაგიშვილმა** და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა **გიორგი მაჩაბელმა** გახსნეს.

კონფერენციის მიზანია მასწავლებლებმა მიიღონ ინფორმაცია საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის მნიშვნელობისა და პერსპექტივების შესახებ, გაეცნონ იმ შესაძლებლობებს, რომლებსაც ევროპული პროექტები მათ სთავაზობს. ასევე, გაზიარებული გამოცდილება და მიღებული ცოდნა დანერგონ სასწავლო პროცესში.

სემინარში მონაწილეობისთვის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა რეგისტრაცია აპრილის თვეში გამოაცხადა, რომლის შედეგადაც თბილისიდან და რეგიონებიდან გეოგრაფიის, ისტორიისა და სამოქალაქო განათლების 110 პედაგოგი შეირჩა. აღნიშნულმა პედაგოგებმა ევროკავშირის თემატიკის დანერგვისა და ევროპული ღირებულებების პოპულარიზაციის მიზნით, საინტერესო პროექტები წარადგინეს.

ნინო მაღრაძე-ჯანჯღავა, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის მთავარი სპეციალისტი: *„უკვე მესამე წელია, რაც ხორციელდება პროექტი „მასწავლებელი – მეგზური ევროპისკენ“. ზოგადად ეს პროექტი ორ ეტაპად ნაწილდება, პირველი გულისხმობს ორდღიან სემინარს, შემდეგი ეტაპი – ამ პროექტებზე მუშაობას და კონკურსის გამოცხადებას. დღეს დასრულდა პროექტის პირველი ნაწილი – ორდღიანი სემინარი. ფაქტობრივად, ხვალიდან უკვე ვიწყებთ მეორე ეტაპზე მუშაობას, ანუ ველოდებით შერჩეული 100-ვე მასწავლებლისგან აქტივობას, პროექტების გამოგზავნას. იმედი გვაქვს, აქტივობა მომავალშიც ისეთივე მაღალი იქნება, როგორიც წელს გვქონდა. შემოვიდა 85 პროექტი, 10 გამარჯვებული შეირჩა, მათგან 2 პედაგოგი თბილისის სკოლებიდან, ხოლო 8 პედაგოგი – რეგიონებიდან. ათივე გამარჯვებული დააჯილდოვა ევროკავშირის წარმომადგენელმა საქართველოში და ესტონეთის საელჩომ ერთკვირიანი ვიზიტით, ხოლო ჩვენმა სამინისტრომ და ცენტრმა – სერტიფიკატებით. 10 გამარჯვებული მასწავლებელი ესტონეთში, ტალინში გაემგზავრება ერთი კვირით. ისინი შეხვდებიან ესტონეთის საჯარო და კერძო სკოლების მასწავლებლებს, რომლებიც თავიანთ გამცდილებას გაუზიარებენ ქართველ კოლეგებს. 10 გამარჯვებულიდან 7 საჯარო სკოლის, ხოლო 3 კერძო სკოლის პედაგოგია. ამიტომ, ძალიან საინტერესო და სასარგებლო იქნება ორივე ტიპის სკოლის პედაგოგებთან შეხვედრა.*

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო დამფინანსებელ ორგანიზაციებს – ებერტის ფონდი უკვე სამი წელია აფინანსებს ამ ძალიან საინტერესო ღონისძიებასემინარს, ასევე ჩვენი თანამდგომია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სამინისტრო და მასწავლებელთა სახლი.“

რაც შეეხება სემინარის თემებს, რა თქმა უნდა, ევროკავშირსა და ნატოს ეხება, უფრო მეტად ევროკავშირის მიმართულებითაა დატვირთული – ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობები და პერსპექტივები. ასევე, ნატო და მისი მოლოდინები – რა ეტაპზე ვიმყოფებით დღეს. სემინარზე ოთხი ძირითადი თემა იშლება – რელიგია, ეკოლოგია, ადამიანის უფლებები და განათლება, რომელზეც მასწავლებლებმა, სემინარის მეორე დღეს, ჯგუფურად იმუშავეს – პედაგოგები 4 ჯგუფად დაიყვნენ, 25 მონაწილე თითო ჯგუფში, მათ დახმარებას ინსტრუქტორები უწევდნენ. სემინარის დასასრულს პრეზენტაციებით შეაჯამეს ფორუმი.

კონფერენციაზე გამოვლინდა პროექტის 10 გამარჯვებული მასწავლებელი, ისინი ესტონეთში სასწავლო კურსს გაივლიან მსმენელებად. მასწავლებლები საქართველოს მასშტაბით შეირჩნენ – 60 პედაგოგი სხვადასხვა რეგიონიდან, 40 – თბილისიდან. როგორც ქალბატონმა ნინო მაღრაძემ აღნიშნა, უპირატესობას საჯარო სკოლის მასწავლებლებს არ ანიჭებდნენ, სწორედ ამიტომაცაა შერჩეული 100 მასწავლებლიდან ნაწილი კერძო სკოლის პედაგოგი, ხოლო10 გამარჯვებულიდან – 3.

ათ საუკეთესო მასწავლებელს შორის პირველი ადგილი საჩხერის №2 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებელმა **ლიკა გომართელმა** აიღო (ის ამავე სკოლის დირექტორია), პროექტში მომხსენებლად მონაწილეობა მისთვის ერთი კრედიტქულის მომტანია. მის მიერ წარმოდგენილი პროექტი საკმაოდ მასშტაბურია როგორც მონაწილეებით, ისე ღონისძიებებით – ჩართული იყო, დაახლოებით, 200 მოსწავლე – VIII-XI კლასები და პროექტის ხელმძღვანელის გარდა, კიდევ სამმა პედაგოგმა იმუშავა: **მზია დეკანოიძე**, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, **ირმა იაკობაშვილი**, ისტორიის მასწავლებელი, **ია ნებიერიძე**, სამოქალაქო განათლების მასწავლებელი. კრედიტქულების მინიჭების გარდა, რით არის პროექტი საინტერესო და როგორ მიმდინარეობდა პროცესი მთელი წლის განმავლობაში, ამის შესახებ გვესაუბრა ლიკა გომართელი: *„როგორც იცით, სემინარში მონაწილეობენ ისტორიის, გეოგრაფიის და სამოქალაქო განათლების მასწავლებლები, მათ რიცხვს წელს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებიც დაემატნენ. ეს პროექტი საშუალებას გვაძლევს, მოსწავლეებს დავანახოთ რა არის ევროპული ღირებულებები და რატომ ვიღებთ გეზს ევროპისაკენ, რატომ უნდა დავნერგოთ ევროპული ღირებულებები ჩვენს ცხოვრებაში, რათა გავხდეთ ევროპის მოქალაქეები.*

გასულ წელს მე თვითონ სემინარის მსმენელი ვიყავი, ძალიან ბევრი ინფორმაცია მივიღე, ამასთან ერთად ჩაგვიტარდა ვორქშოპები, მოგვეცა მითითებები, რომლის შემდეგ მზად ვიყავით პროექტის განხორციელება სკოლაში დაგვეწყო. მარტიდან დავგეგმეთ პროექტი, რომელიც, ფაქტობრივად, ერთი წელი მიმდინარეობდა და რომლის ფარგლებში ძალიან ბევრი აქტივობა განვახორციელეთ. მოსწავლეებმა გამოიკვლიეს საქართველოს ისტორიაში სად გვხვდება ევროპული ღირებულებები; როდის ვიყავით ევროპის ნაწილი და როდის დავკარგეთ ეს ღირებულებები, რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ისევ დავუბრუნდეთ ევროპის კულტურულ ოჯახს. ბავშვებმა ქართულ მწერლობაში (საპროგრამო თუ არასაპროგრამო) თავად მოიძიეს ამ თემატიკის ამსახველი ნაწარმოებები. პროცესი, დაახლოებით, სამი თვე გაგრძელდა. ამის შემდეგ გადავედით სასკოლო ცხოვრებაში ევროპული ღირებულებებისა და ფასეულობების დანერგვაზე. კონკრეტულად კი, ამისთვის ჩამოვაყალიბეთ „ლიდერ გოგონათა სკოლა“, მათ ჩავუტარეთ ტრენინგები, ჰქონდათ შეხვედრები ლიდერ ქალებთან, ასევე ვაჩვენეთ ფილმები მათ შესახებ. შემდეგ „ლიდერმა გოგონებმა“ დანარჩენი აქტივობები სკოლაში განახორციელეს. იმისთვის, რომ სასკოლო საზოგადოებაში დემოკრატიული ღირებულებებისადმი ინტერესი გაგვეღვიძებინა, მთელი წლის განმავლობაში, ჩავატარეთ სხვადასხვა სახის ღონისძიებები – ნახატების კონკურსი თემაზე: „ევროკავშირში ქართული ღირებულებებითა და ტრადიციებით“; ესეების კონკურსი „ჩემი ევროპული ღირებულებები“ და ფოტოკონკურსი „მე ვარ ევროპელი“. ვცდილობდით, ევროპული ღირებულებებისადმი სამოქალაქო ცნობიერება არა მხოლოდ მოსწავლეებში, არამედ თემშიც აგვემაღლებინა. ამ მიმართულებით ჩავატარეთ ადამიანის უფლებების დაცვისადმი მიძღვნილი კვირეული, აღვნიშნეთ ყველა საერთაშორისო დღე, რომელთა მიმართაც მოქალაქეების ცნობიერება შედარებით დაბალია, მაგალითად, დაუნის სინდრომის დღე, აუტიზმის ცნობადობის ამაღლების დღე და ა.შ. ჩვენთან ფუნქციონირებს შშმ პირთა დღის ცენტრი და ერთ-ერთი ღონისძიება სწორედ ამ ცენტრის ბენეფიციართა და ჩვენი სკოლის მოსწავლეთა ერთობლივი მონაწილეობით ჩატარდა. ასევე, მთელი წლის განმავლობაში ვაგროვებდით მაკულატურას, რომელიც სასკოლო ბიბლიოთეკის გასაახლებლად გამოვიყენეთ. წყლის დაცვის საერთაშორისო დღე მდინარე ჩიხურას მიდამოების გაწმენდით აღვნიშნეთ.

პროექტი დასრულდა იმით, რომ მოვიძიეთ სკოლის კურსდამთავრებულები, რომლებმაც ევროპაში მიიღეს განათლება, ასეთი მასწავლებლებიც გვყავს. ბავშვებმა მათთან ინტერვიუები ჩაწერეს. გავხსენით ევროპის კუთხე, სადაც მათი ფოტოები განთავსდა წარწერით, თუ რა არის მათთვის ევროპული ღირებულება. ეს კუთხე, სიმბოლურად, კიბის უჯრედების ქვეშ განთავსდა, რადგან ევროპისკენ გზა სწორედ საფეხურეობრივად უნდა გავიაროთ.“

ფორუმის ორგანიზატორი, „საინფორმაციო ცენტრის ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ დირექტორის მოადგილე **გიორგი ფარეშიშვილი**, მიიჩნევს: *„აუცილებელია, მსოფლიოში ყველა სახელმწიფომ გაითავისოს, რომ მასწავლებელი უნდა იყოს ყველაზე დაფასებული ადამიანი, რადგანაც მას მომავალი თაობების ღირსეულად და სწორად აღზრდის პირდაპირი მოვალეობა აკისრია. ჩვენი ქვეყანა ევროინტეგრაციის გზას ადგას, აქედან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, პედაგოგებს მივაწოდოთ ზუსტი და დროული ინფორმაცია ყველა იმ სიახლესა და მიმდინარე პროექტზე, რომელსაც ჩვენი სახელმწიფო ამ მიმართულებით ახორციელებს, რათა მათ შეძლონ თავიანთ სკოლებში მოსწავლეებს ზუსტი ინფორმაცია მიაწოდონ აღნიშნულ საკითხებზე. სემინარის ფარგლებში, მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ, შეხვდნენ ცნობილ და ავტორიტეტულ ექსპერტებს, თანამდებობის პირებს, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართული იმ პროცესებში, რასაც ასოცირების ხელშეკრულება და ევროინტეგრაცია გულისხმობს, შესაბამისად, ნებისმიერ კითხვაზე პასუხს ისინი უშუალოდ მათგან მოისმენენ. იმედია, მასწავლებლები თავიანთ სკოლებს, მოსწავლეებსა თუ კოლეგებს ახალი და სასარგებლო ინფორმაციით დაუბრუნდებიან.“*

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტატელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >